# საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საქართველოს საჯარო დაწესებულებებში

2014 წელი (სექტემბერი - ოქტომბერი)

წინამდებარე კვლევა შემუშავდა **"ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის" (IDFI)** მიერ, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს **USAID**-ის პროგრამის „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3)" დაფინანსებული პროექტის **„საჯარო დაწესებულებების პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულების შესრულების პრაქტიკის გაუმჯობესება"** ფარგლებში, რომელიც ერთობლივად განახორციელეს "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა" (IDFI) და "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" (GYLA).

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

# სარჩევი

შესავალი ........................................................................................................................... 3
ინფორმაციის პროაქტიული განთავსების შეფასების მეთოდოლოგია.......................................... 5
ინფორმაციის პროაქტიული განთავსების მაჩვენებლები ............................................................ 8
ინფორმაციის პროაქტიული განთავსების პრაქტიკა და ინსტიტუტის რეკომენდაციები............. 16
ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ...................................................... 18
საჯარო ინფორმაციის გვერდი ............................................................................................... 24
საკადრო უზრუნველყოფა ..................................................................................................... 28
სახელმწიფო შესყიდვები და ქონების პრივატიზება ................................................................. 30
დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა .......................................................................................... 33
სამართლებრივი აქტები........................................................................................................ 46
სხვა საჯარო ინფორმაცია...................................................................................................... 47
დაწესებულების ინიციატივით განთავსებული დამატებითი ინფორმაცია ................................ 49
საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ............ 51
ინფორმაციის თემატური განთავსება..................................................................................... 51
ინფორმაციის განთავსების დათარიღება................................................................................ 53
ფინანსური ინფორმაციის განთავსების ფორმატი ................................................................... 54
ინფორმაციის ვიზუალიზაცია................................................................................................ 56
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა......................................................... 58
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის საშუალებები................................ 58
საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკა ...................................... 62
დასკვნა ............................................................................................................................... 68

## შესავალი

2013 წლის 1 სექტემბერს ძალაში შევიდა, საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილება ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ ".

დადგენილებაში ასახულია, IDFI-ის კოორდინირებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული მნიშვნელოვანი ინიციატივები. სამოქალაქო სექტორის რეკომენდაციები, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ინტენსიურად განიხილებოდა სამუშაო შეხვედრებისა და საჯარო დისკუსიების ფორმატში. რეკომენდაციების საბოლოო პაკეტი შემუშავებული იქნა შეერთებული შტატების საერთაშორისო სააგენტოს USAID-ის დემოკრატიული მმართველობა საქართველოში (G-3) პროგრამის მიერ მხარდაჭერილი კოალიციური პროექტის „კანონმდებლობის გაუმჯობესებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებში" ფარგლებში.

აღნიშნული დადგენილების მიხედვით 2013 წლის 31 დეკემბრამდე მთავრობის მმართველობის სფეროში მოქმედ ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ „საჯარო ინფორმაციის" გვერდის შექმნა და დანართით გათვალისწინებული ნუსხით განსაზღვრული 2013 წლის ინფორმაციის გამოქვეყნება საკუთარ ელექტრონულ რესურსებზე.

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, ის მინიმალური სავალდებულო ინფორმაციაა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის, გეგმების, დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის, სახელმწიფო შესყიდვებისა და ქონების პრივატიზაციის, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის პროაქტიულ გამჭვირვალობას. ადმინისტრაციული ორგანო აგრეთვე უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

დადგენილების მიხედვით, განისაზღვრა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება. 2013 წლის 1 სექტემბრიდან დადგინდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ელექტრონული განცხადებების რეგისტრაცია და ავტომატური დადასტურების სისტემის შექმნა.

2013 წლის 10 ოქტომბერს აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობამ მიიღო იდენტური შინაარსის დადგენილება, რომელიც ვრცელდება მის მმართველობის სფეროში შემავალ უწყებებზე.

საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი სტანდარტის გათვალისწინებით, 2013 წლის მიწურულს საკუთარი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დაამტკიცეს ასევე საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიღებული სტანდარტი ვრცელდება სასამართლო სისტემაში შემავალ ადმინისტრაციულ ორგანოებზე მათ შორის საქართველოს უზენაეს სასამართლოზე.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა 2014 წლის სექტემბერი-ოქტომბერი პერიოდში, IDFI შეეცადა გამოერკვია, რამდენად უზრუნველყვეს დაწესებულებებმა აღნიშნული დადგენილებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. ხსენებული დროის მონაკვეთში, ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა საქართველოს მთავრობის მმართველობის სფეროში შემავალი 112 უწყების (საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, 16 სამინისტრო, 3 სახელმწიფო მინისტრის აპარატი, 92 სსიპ-ი და საქვეუწყებო დაწესებულება), აჭარის ა/რ-ის მთავრობის მმართველობის სფეროში შემავალი 19 უწყების (აჭარის ა/რ-ის მთავრობის ადმინისტრაცია, 4 სამინისტრო, 14 სსიპ და საქვეუწყებო დაწესებულება), საქართველოს პარლამენტის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდებზე 2014 წლის სექტემბრის თვემდე სავალდებულო პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსება და მათ მიერ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის ონლაინ ფორმების განთავსების პრაქტიკა.

კვლევის ფარგლებში ჩვენს მიერ დეტალურად იქნება გაანალიზებული შესაბამისი დადგენილებებით განსაზღვრული თითოეული პუნქტის მიმართებაში ინფორმაციის განთავსების საუკეთესო და ცუდი პრაქტიკა კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე. იმ პუნქტებთან მიმართებაში, რომლებიც დაწესებულებას აძლევს მინიმალური ინფორმაციის განთავსების საშუალებას წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობა და სხვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

## ინფორმაციის პროაქტიული განთავსების შეფასების მეთოდოლოგია

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტალის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო წლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში. შესაბამისად, მონიტორინგის განხორციელების პერიოდში (2014 წლის სექტემბერი-ოქტომბერი) დაწესებულებებს საკუთარ ვებ-გვერდებზე, სულ მცირე განთავსებული უნდა ჰქონოდათ :

- *ყოველწლიური ინფორმაცია* - **2013 წლის სრული მონაცემები**
- *კვარტალური ინფორმაცია* - **2013 წლის სრული და 2014 წლის I და II კვარტლის მონაცემები**
- *ინფორმაცია რომელიც განახლებას ექვემდებარება გარკვეული ცვლილების შემთხვევაში* - **უახლესი მონაცემები**

ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების სავალდებულო მაჩვენებლები შედგენილია შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის ნუსხის თითოეული პუნქტის მიხედვით. ინსტიტუტის მიერ თითოეულ პუნქტზე შეფასების განხორციელებისას, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განთავსებული შესაბამისი ინფორმაცია რამდენად სრულყოფილად პასუხობს დადგენილებით გაწერილ ვალდებულებებს, როგორც შინაარსობრივი, ასევე მონაცემების ზემოთ ჩამოთვლილი პერიოდულობის თვალსაზრისით.

საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის სავალდებულო პუნქტების მიხედვით ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების შემთხვევაში მაქსიმალურ შეფასებად ინსტიტუტის მიერ განსაზღვრულია 100 ქულა (100%). საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული თითოეული ქვეპუნქტის მიხედვით მაქსიმალური შეფასებები გამოიყურება შემდეგნაირად:

## შეფასების მეთოდოლოგია მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნუსხის ქვეპუნქტების მიხედვით

| 1 | | 2 | | 3 | | 4 | | 5 | | 6 | | 7 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა | N | ქულა |
| 1.1 | 3 | 2.1 | 3 | 3.1 | 3 | 4.1 | 3 | 5.1 | 3 | 6.1 | 3 | 7.1 | 2 |
| 1.2 | 3 | 2.2 | 3 | 3.2 | 3 | 4.2 | 3 | 5.2 | 3 | 6.2 | 2 | 7.2 | 2 |
| 1.3 | 3 | 2.3 | 3 | 3.3 | 3 | 4.3 | 3 | 5.3 | 3 | | | | |
| 1.4 | 3 | 2.4 | 3 | | | 4.4 | 3 | 5.4 | 3 | | | | |
| 1.5 | 3 | 2.5 | 3 | | | | | 5.5 | 3 | | | | |
| 1.6 | 3 | | | | | | | 5.6 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.7 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.8 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.9 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.10 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.11 | 3 | | | | |
| | | | | | | | | 5.12 | 4 | | | | |
| | | | | | | | | 5.13 | | | | | |

როგორც შეფასების ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული 35 ქვეპუნქტიდან 30 მათგანის შემთხვევაში თითოეულის მაქსიმალურმა შეფასებამ შეადგინა 3 ქულა, ხოლო დანარჩენი 5 ქვეპუნქტი სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ინსტიტუტის შერჩევით, განსხვავებული მაქსიმალური ქულათა რაოდენობით შეფასდა. აღნიშნული ქვეპუნქტები შერჩეული იქნა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

1) **(5.12 და 5.13- ერთად 4 ქულა)** - 5.13 ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ აქტებს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ, სრულად მოიცავს 5.12 ქვეპუნქტში გათვალისწინებულ ინფორმაციას (5.12 ქვეპუნქტი ითვალისწინებს აღნიშნული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ზოგად კვარტალურ ინფორმაციას). შესაბამისად ინსტიტუტის მიერ აღნიშნული პუნქტები შეფასდა ერთობლივად. შეფასების დროს ინსტიტუტის მიერ პრიორიტეტად მიჩნეული იქნა აღნიშნული თანხების გამოყოფის შესახებ სამართლებრივი აქტების განთავსება.
2) **(6.2 - 2 ქულა)**- აღნიშნული ქვეპუნქტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. ვინაიდან ინსტიტუტისათვის შეუძლებელია განსაზღვროს, რომელ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს მიიჩნევს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო საზოგადოებრივი ინტერესის შემცველად, აღნიშნული ქვეპუნქტის მიხედვით განთავსებული ინფორმაცია შეფასდა მხოლოდ მაქსიმალური 2 ქულით.
3) **(7.1 და 7.2** - თითოეულს 2 ქულა) - აღნიშნული ქვეპუნქტებით განსაზღვრულია ინფორმაცია სერვისების და იმ მოსაკრებლების ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ვინაიდან დაწესებულებების დიდი ნაწილი მომხმარებლებს არ სთავაზობს რაიმე სახის სერვისს და შესაბამისად არ არის მათ მიერ დადგენილი რაიმე სახის ტარიფები, მოსაკრებლები და საფასურები (გარდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისა, რომლის შესახებ ინფორმაციის განთავსება ისედაც სავალდებულოა საჯარო ინფორმაციის გვერდზე) ინსტიტუტის მიერ თითოეულის შესახებ ინფორმაციის განთავსება შეფასდა მხოლოდ მაქსიმალური 2 ქულით.

## ინფორმაციის პროაქტიული განთავსების მაჩვენებლები

2014 წლის სექტემბერი-ოქტომბერში ინსტიტუტის მიერ განხორციელდა **133** ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის სავალდებულო გამოქვეყნების მონიტორინგი. როგორც გაირკვა, აღნიშნული უწყებებიდან **21** მათგანს მონიტორინგის პერიოდისათვის საერთოდ არ ჰქონდა საკუთარი ვებ-გვერდი, **4** მათგანს არ გააჩნდა საკუთარი ვებ-გვერდი, თუმცა მათ შესახებ საჯარო ინფორმაციის განყოფილება განთავსებულია მათი ზემდგომი უწყებების ელექტრონულ რესურსებზე, **6** უწყების ვებ-გვერდზე კვლავ არ იყო შექმნილი საჯარო ინფორმაციის განყოფილება, **8** უწყების შემთხვევაში ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის განყოფილება თუმცა მასში  არანაირი სახის ინფორმაცია არ იყო  ხელმისაწვდომი, ხოლო დანარჩენი **94** ადმინისტრაციული ორგანოს ვებ-გვერდზე შესაბამისი დადგენილების მიხედვით შექმნილია საჯარო ინფორმაციის განყოფილება და ვებ-გვერდზე მეტ-ნაკლებად განთავსებულია სავალდებულო ინფორმაცია.



ინსტიტუტის მიერ შესწავლილი ყველა უწყება, რომელსაც ამ დრომდე არ გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, არ აქვს შექმნილი საკუთარი საჯარო ინფორმაციის განყოფილება ან აღნიშნულ განყოფილებაში არანაირი სახის ინფორმაცია არ აქვს განთავსებული წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ან საქვეუწყებო დაწესებულებებს. აღნიშნულ უწყებებს შორის ჭარბობენ სპეციფიკური საგანმანათლებლო დაწესებულებები, აგრეთვე უწყებები, რომლებიც ახალი დაარსებულია და შესაბამისად სავარაუდოდ ვერ მოხერხდა მონიტორინგის პერიოდისათვის ვებ-გვერდის შექმნა და მასზე საჯარო ინფორმაციის განთავსება. თუმცა, ვხვდებით ისეთ უწყებებსაც, რომლებსაც არსებობის მრავალწლიანი ისტორია აქვთ და მაღალი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე მათი საქმიანობის გამჭვირვალობის შესახებ მოჭარბებული საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. მაგალითად:

- **მონიტორინგის პერიოდისათვის საკუთარი ვებ-გვერდი არ გააჩნდა საქვეუწყებო დაწესებულება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს;**
- **საკუთარ ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილება არ აქვს შექმნილი სსიპ - კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს;**
- **ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის განყოფილება თუმცა მასში არანაირი სახის ინფორმაცია არ არის განთავსებული სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვებ-გვერდებზე.**



ადმინისტრაციული ორგანოების სავალდებულო ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების მაჩვენებლები, რომლებმაც მონიტორინგის პერიოდისათვის უზრუნველყვეს შესაბამისი დადგენილების მიხედვით საჯარო ინფორმაციის განყოფილების შექმნა და გარკვეული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება, ქვემოთ წარმოდგენილი იქნება დაწესებულებების სახეების მიხედვით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სავალდებულო ინფორმაციის პროაქტიული განთავსების მაჩვენებელმა შეადგინა 100%.

საქართველოს სამინისტროებსა და სახელმწიფო მინისტრის აპარატებს შორის სავალდებულო ინფორმაციის პროაქტიული განთავსების ყველაზე მაღალი შეფასებები მიიღეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ - 100%, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ - 100% და საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ - 98%.

**აღნიშნულ უწყებებს შორის ყველაზე დაბალი შეფასება 34% მიიღო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ. როგორც აღნიშნულ უწყებაში განმარტეს, სამინისტროს ვებ-გვერდზე განხორციელდა კიბერ შეტევა, რის შედეგადაც ვებ-გვერდიდან წაიშალა მათ მიერ განთავსებული ინფორმაციის უდიდესი ნაწილი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომ, ინფორმაციის განთავსების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (57%) და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (58%).

## მთავრობის ადმინისტრაციის და სამინისტროების ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების მაჩვენებლები

| | |
|---|---|
| განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | • 100% |
| ენერგეტიკის სამინისტრო | • 100% |
| მთავრობის ადმინისტრაცია | • 100% |
| იუსტიციის სამინისტრო | • 98% |
| ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | • 96% |
| შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | • 94% |
| სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | • 93% |
| რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | • 93% |
| სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | • 92% |
| გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | • 90% |
| ფინანსთა სამინისტრო | • 86% |
| ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | • 86% |
| დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | • 84% |
| შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | • 72% |
| თავდაცვის სამინისტრო | • 70% |
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | • 65% |
| კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | • 63% |
| საგარეო საქმეთა სამინისტრო | • 58% |
| შინაგან საქმეთა სამინისტრო | • 57% |
| სოფლის მეურნეობის სამინისტრო | • 34% |

საქართველოს სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის, ინფორმაციის განთავსების მაღალი მაჩვენებლების თვალსაზრისით, გამორჩეულები არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ-ები და საქვეუწყებო დაწესებულებები. 10 ყველაზე მაღალი შეფასების მქონე უწყებას შორის 4 დაწესებულება წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ხოლო სამი დაწესებულება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. აღსანიშნავია, აგრეთვე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, რომლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა შეადგინა 94%.

**ინფორმაციის განთავსების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფ უწყებებში**

| | |
|---|---|
| ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახური | 99% |
| ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო | 97% |
| გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი | 94% |
| აღსრულების ეროვნული ბიურო | 91% |
| საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 91% |
| მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | 90% |
| ფინანსთა სამინისტროს აკადემია | 90% |
| დანაშაულის პრევენციის ცენტრი | 89% |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | 87% |
| საკანონმდებლო მაცნე | 87% |

საქართველოს სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებს შორის, რომლებსაც საკუთარ ვებ-გვერდზე მონიტორინგის პერიოდისათვის განთავსებული ჰქონდათ გარკვეული ინფორმაცია, ყველაზე დაბალი შეფასებები მიიღეს შსს მომსახურების სააგენტომ (21%) და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა (21%).

**ინფორმაციის განთავსების ყველაზე დაბალი მაჩვენებლები სამინისტროებს დავემდებარებაში მყოფ უწყებებში**

| | |
|---|---|
| შსს მომსახურების სააგენტო | **21%** |
| ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური | **21%** |
| მუნიციპალური განვითარების ფონდი | **26%** |
| სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი | **31%** |
| ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო | **33%** |
| სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო | **33%** |
| ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი | **35%** |
| იუსტიციის სასწავლო ცენტრი | **42%** |
| ქართული სპორტის მუზეუმი | **43%** |
| სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა | **46%** |

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხი უწყების შესახებ საჯარო ინფორმაცია, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ მათ არ გააჩნიათ საკუთარი ვებ-გვერდი, განთავსებულია იმ სამინისტროების ვებ-გვერდებზე ვის დაქვემდებარებაშიც იმყოფებიან. მათ შორის ინფორმაციის განთავსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღო სსიპ სმართ ლოჯიქმა - 87%. სამედიცინო მედიაციის სამსახურის მაჩვენებელმა შეადგინა - 36%. რაც შეეხება შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახურს (16%) და სახელმწიფო მატერიალური

რეზერვების დეპარტამენტს (15%), მათ შესახებ ძალზედ მწირი ინფორმაციაა განთავსებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

**უწყებები რომლებსაც საკუთარი ვებ-გვერდი არ გააჩნია, თუმცა მათ შესახებ გარკვეული საჯარო ინფორმაცია განთავსებულია ზემდგომი ორგანოს ვებ-გვერდზე**

**სმართ ლოჯიქი**
**87%**

**სამედიცინო მედიაციის სამსახური**
**36%**

**შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური**
**16%**

**სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი**
**15%**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, სამინისტროების და უშუალოდ მთავრობას დაქვემდებარებული სხვა უწყებების შესახებ საჯარო ინფორმაცია განთავსებულია აჭარის ა/რ-ის მთავრობის ერთიან პორტალზე. როგორც მოგეხსენებათ, აჭარის მთავრობის ერთიანი პორტალი შეიქმნა 2014 წელს. შესაბამისად, აღნიშნულ პორტალში გაწევრიანებულ უწყებებს მოუწიათ 2013 წელს საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებული მთელი რიგი საჯარო ინფორმაციის ერთიან პორტალზე თავიდან განთავსება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს შორის, ერთიან პორტალზე ინფორმაციის განთავსების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღო აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ - **80%**. რაც შეეხება აჭარის მთავრობის აპარატს მისი მაჩვენებელი მხოლოდ **48 %**-ს შეადგენს.

აჭარის ა/რ-ის სსიპ-ებსა და საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის, რომლებიც გაწევრიანებულნი არიან ერთიან პორტალზე ან საკუთარ ვებ-გვერდზე გააჩნიათ საჯარო ინფორმაციის გვერდი, ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებამ - საარქივო სამმართველომ - **78%**.

## აჭარის ა/რ -ის მთავრობის აპარატი და სამინისტროები

| | |
|---|---|
| აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 80% |
| აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 76% |
| აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 74% |
| აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 67% |
| აჭარის ა/რ-ის მთავრობის აპარატი | 48% |

## აჭარის ა/რ -ის მთავრობას და სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები

| | |
|---|---|
| საარქივო სამმართველო | 78% |
| აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო | 75% |
| ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი | 55% |
| ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი | 45% |
| სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი | 42% |
| დასაქმების სააგენტო | 33% |
| სამშენებლო და ტექნიკური ლაბორატორია | 25% |

საქართველოს პარლამენტის აპარატის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდების მონიტორინგი განხორციელდა აღნიშნული უწყებებისათვის დამტკიცებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით. **საქართველოს უზენაესი სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსების მაჩვენებელმა შეადგინა 96%, ხოლო საქართველოს პარლამენტის- 84%.**

## ინფორმაციის პროაქტიული განთავსების პრაქტიკა და ინსტიტუტის რეკომენდაციები

ადმინისტრაციული ორგანოების ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შესწავლისას ინსტიტუტი შეეცადა გამოერკვია, დადგენილებით განსაზღვრული ის ქვეპუნქტები, რომლებიც ყველაზე პრობლემატური აღმოჩნდა ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ვებ-გვერდზე განთავსების თვალსაზრისით. როგორც გაირკვა, იმ დაწესებულებებმა, რომლებსაც შექმნილი აქვთ საჯარო ინფორმაციის გვერდი და განთავსებული აქვთ გარკვეული ინფორმაცია, ყველაზე დაბალი საერთო მაჩვენებელი (**28,4%**) აჩვენეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაციის განთავსების თვალსაზრისით. მხოლოდ **32,3%** შეადგინა რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელმა, **34,8%** - საბიუჯეტო ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელმა, ხოლო **39,7%** - სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელმა.



საქართველოს მთავრობის დადგენილების ნუსხით განსაზღვრული მთელი რიგი პუნქტების მიმართებაში (მათ შორის ფინანსური ხასიათის მონაცემების) დაწესებულებების მხრიდან ნაჩვენებია საკმაოდ მაღალი მაჩვენებლები (მაგალითად ავტოპარკის შესახებ ინფორმაცია 75,5%, შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია 67,7%), **რაც ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნული ნუსხით განსაზღვრული მთელი რიგი პუნქტები დაწესებულებებს არ ავალდებულებს დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებას.** დაწესებულებები უმეტესწილად ვებ-გვერდებზე ათავსებენ მხოლოდ იმ მინიმალურ კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს. ქვემოთ ჩვენს მიერ დეტალურად იქნება გაანალიზებული მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული თითოეული პუნქტის მიმართებაში ინფორმაციის განთავსების საუკეთესო და ცუდი პრაქტიკა კონკრეტული დაწესებულებების მაგალითზე. იმ პუნქტების მიმართებაში, რომლებიც დაწესებულებას აძლევს მინიმალური ინფორმაციის განთავსების საშუალებას წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

## ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ

*1.1 სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა*
*1.2 დებულება/წესდება, შინაგანაწესი*
*1.3 საქმიანობის წლიური ანგარიში*
*1.4 სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები*
*1.5 ხელმძღვანელის და მისი მოადგილეების შესახებ ინფორმაცია*
*1.6 საკონტაქტო ინფორმაცია*

საქართველოს საჯარო დაწესებულებებისათვის, რომელთა ვებ-გვერდის მონიტორინგიც განხორციელდა კვლევის პერიოდში, ერთ-ერთ ყველაზე ნაკლებად პრობლემატურ ინფორმაციას, საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსების თვალსაზრისით, წარმოადგენს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის პირველ ნაწილში (ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ) თავმოყრილი პუნქტები. აღნიშნულ პუნქტებს შორის ადმინისტრაციულ ორგანოებს ყელაზე დაბალი საერთო მაჩვენებელი (65,2%) აქვთ სტრატეგიების, კონცეფციების და სამოქმედო გეგმების შესახებ ინფორმაციის განთავსების თავლსაზრისით, ხოლო ყველაზე მაღალი საერთო მაჩვენებელი (97,8%) მათი საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების განთავსებაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დადგენილების ნუსხით განსაზღვრული მთელი რიგი პუნქტები დაწესებულებებს არ ავალდებულებს დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებას. ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურის და ფუნქციების აღწერის მიმართებაში, საჯარო დაწესებულებამ, მომხმარებლისთვის კარგი თვალსაჩინოებისათვის, უნდა უზრუნველყოს დაწესებულების სტრუქტურის გრაფიკული გამოსახვა (სტრუქტურული ხე) და თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების აღწერა.

აღნიშნულის კარგ მაგალითს წარმოადგენს საქართველო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული სტრუქტურული ხე, სადაც კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულზე მაუსის კურსორის მიტანით, შესაძლებელია მისი ფუნქციების ხილვა.




**იურიდიული დეპარტამენტის ფუნქციები:**

- სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის შემუშავების ორგანიზება და, შესაბამისად, გეგმით გათვალისწინებული საკითხების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გადაწყვეტის კოორდინაცია;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ, უშუალოდ სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მომზადებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შეთანხმება და ვიზირება;
- სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობის სამმართველოსა და სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მიერ მომზადებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენის უზრუნველყოფის კოორდინაცია;
- დამოუკიდებლად ან სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებსა და სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებებთან ერთად ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებისა და მოქმედ ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის ან მათი გაუქმების შესახებ წინადადებათა მომზადება;
- სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებების სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- სამინისტროს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში;
- სამინისტროში შესული საჩივრებისა და სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი დავების ანალიზის საფუძველზე წინადადებათა მომზადება მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;
- დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად ინფორმაციის გამოთხოვა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან და სამინისტროს სისტემაში შემავალი დაწესებულებებიდან;
- მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა საჩივრების, განცხადებების განხილვა და/ან განხილვაში მონაწილეობა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

შესაბამისი დადგენილების მიხედვით საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა განაახლონ გარკვეული ცვლილების შესაბამისად. კვლევის პერიოდში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია ძველი მონაცემები. მაგალითად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ სტრუქტურაში მინისტრის პოზიციაზე კვლავ მითითებული იყო დავით დარახველიძე, მაშინ როდესაც აღნიშნული პირი თანამდებობიდან განთავისუფლდა მონიტორინგის განხორციელებიდან დაახლოებით ორი თვით ადრე.




ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურისა და ფუნქციების განახლების შემთხვევაში, სასურველია, ვებ-გვერდზე არქივში დარჩეს სახეცვლილი ვერსიაც. მაგალითისთვის, იხილეთ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე აღნიშნული ინფორმაციის განთავსების პრაქტიკა.



ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა 2014 წელი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურა

განახლების თარიღი: 09.09.14

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურა

განახლების თარიღი: 20.08.14

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურა

განახლების თარიღი: 15.06.14

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურა

განახლების თარიღი: 03.06.14

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრუქტურა

განახლების თარიღი: 10.04.14

IDFI-ის პარამეტრების მიხედვით, სტრატეგიების, კონცეფციების და სამოქმედო გეგმების ნაწილში ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს დეტალური ინფორმაცია სტრატეგიული მიზნების, დაგეგმილი აქტივობების, მოსალოდნელი შედეგების, რისკების, შესაბამისი აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირებისა და შესრულების ვადების შესახებ. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს, რომელსაც საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს დეტალური ინფორმაცია. უწყებების უმრავლესობის მიერ სტრატეგიების, კონცეფციების და სამოქმედო გეგმების შესახებ განთავსებულია მხოლოდ მინიმალური ზოგადი ინფორმაცია.

*განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია*

| # | სტრატეგიული მიზნები | აქტივობა | პასუხისმგებელი სამსახური | შესრულების ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | **განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება** | 1. საჯარო სკოლებში ოპტიკური კავშირის უზრუნველყოფა. ინტერნეტის სიჩქარის პაკეტის გაუმჯობესება ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული ყველა სუბიექტისთვის. | კომპიუტერული ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახური | 2014 წელი |
| | | 2. სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართვა. | კომპიუტერული ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახური | 1.01.2014 - 1.05.2014 |
| | | 3. საჯარო სკოლების, საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების VoIP სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა. | კომპიუტერული ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახური | 2014 წელი |
| | | 4. საერთაშორისო სტანდარტების დაცვის მიზნით უსაფრთხოების ნორმების დანერგვა (Web/Content Filter, Application Firewall, IPS/IDS, AntiBot) | კომპიუტერული ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახური;<br><br>კომპიუტერული სისტემების სამსახური; | 2014 წელი |
| | | 5. საჯარო სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების აღჭურვა/ინსტალაცია Cisco 881 სერიის როუტერით. | კომპიუტერული ქსელებისა და კომუნიკაციის სამსახური;<br><br>IT HelpDesk; | 1.01.2014 - 1.05.2014 |
| | | 6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 17.01.2014 წლის, #28 ბრძანებით გათვალისწინებული უსაფრთხოების ნორმების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების გატარება. | კომპიუტერული სისტემების სამსახური; | 2014 წელი |
| | | 7. არსებული სერვერული ინფრასტრუქტურის განახლება (სივრცის გაზრდა) და არსებული სერვისების/რესურსების ოპტიმალური გადანაწილება; | კომპიუტერული სისტემების სამსახური; | 1.06.2014 - 1.09.2014 |

| მიღებული შედეგი | გაზომვის ინსტრუმენტები (ინდიკატორები) | რისკები |
|---|---|---|
| ინტერნეტ და შიდა საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომის გაზრდილი სიჩქარე, კავშირის შემცირებული წყვეტა | ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული განათლების მართვის სუბიექტების და საგანმანათლებლო დაწესებულებების წილი.<br><br>ინტერნეტში მუშაობის სიჩქარე.<br><br>სისტემაში გამოყენებული ტექნოლოგიებისა და პროგრამული პროდუქტების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.<br><br>ქსელებში ინფორმაციის დაცულობის მაჩვენებლები. | პროგრამების და განსახორციელებელი ღონისძიებების დროული/სათანადო დაფინანსება და მატერიალური უზრუნველყოფა,<br><br>გარე რისკები (კლიმატური პირობები და ა.შ) |
| შიდა საგანმანათლებლო რესურსებზე და სერვისებზე წვდომა, სამსახურეობრივი კორესპონდენციის გამარტივებული მიმოცვლა | | |
| განათლების სამინისტროსა და მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან შიდა სატელეფონო კავშირი | | |
| არამიზნობრივი გამოყენების აღკვეთით დაზოგილი ინტერნეტ რესურსები;<br>სხვადასხვა ტიპის კიბერ შემოტევებისაგან მაქსიმალურად დაცული ვებგვერდები და ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი; | | |
| ინტერნეტის მიწოდების გაუმჯობესებული ხარისხი და სიჩქარე | | |
| უსაფრთხოების გაზრდილი ნორმები განათლების სისტემაში | | |
| სერვერული ინფრასტრუქტურის გაზრდილი სივრცე და წარმადობა | | |

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის პირველ ნაწილში თავმოყრილი სხვა პუნქტები დადგენილებაში იმგვარადაა ფორმულირებული, რომ საჯარო დაწესებულებას დეტალურად ავალდებულებს კონკრეტული საკითხის შესახებ ინფორმაციის განთავსებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც არ ხდება ხსენებული პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაციის სრულყოფილი სახით განთავსება.

მაგალითად, სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის შესახებ წარმოდგენილია მხოლოდ მისი სახელი და გვარი. რაც შეეხება ფოტოსურათს და ბიოგრაფიული მონაცემებს ვებ-გვერდზე მონიტორინგის პერიოდისათვის ეს ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

მთავარი | სააგენტოს შესახებ | სასარგებლო ინფორმაცია | რეფორმები | განცხადებები

თქვენ იმყოფებით: სააგენტოს შესახებ / სააგენტოს უფროსი

**სააგენტოს უფროსი**

**გიორგი არსოშვილი**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ საკონტაქტო ინფორმაციაში ვერ-ვხვდებით ელექტრონული ფოსტის მისამართს

საკონტაქტო ინფორმაცია
30/12/2013

ქ.თბილისი. 0114. გორგასლის ქუჩა N16

მინისტრის მისაღები
მინისტრის მისაღები
ტელ.:+995 32 2 261 444

სამინისტროს ბიურო
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
ტელ.: +995 32 2 261 289

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური:
ტელ.: +995 32 2 261 280

საქმისწარმოების სამმართველო
საქმისწარმოების სამმართველო
ტელ.: +995 32 2 261 330

## საჯარო ინფორმაციის გვერდი

*2.1 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის რეკვიზიტები*

*2.2 საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები*

*2.3 ადმინისტრაციული საჩივრის ფორმა და გასაჩივრების წესი*

*2.4 ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიში*

*2.5 ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების ზოგადი სტატისტიკა*

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მეორე ნაწილში (საჯარო ინფორმაციის გვერდი) თავმოყრილია პუნქტები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. აღნიშნულ პუნქტებს შორის ადმინისტრაციულ ორგანოებს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (52,8%) აქვთ ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების ზოგადი სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის განთავსების თავლსაზრისით, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (88,3%) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის რეკვიზიტების განთავსებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც დაწესებულებები ვებ-გვერდზე არ ათავსებენ იმ დეტალურ ინფორმაციას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ, რომელიც შესაბამისი დადგენილებით არის განსაზღვრული.

**საკონტაქტო ინფორმაცია:**

სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი – ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ხელაძე.

სამსახურის ტელეფონის ნომერი: 2 944011

მისამართი: სანაპიროს ქ.№2; 0105, თბილისი, საქართველო

დანაშაულის პრევენციის ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მითითებული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელ-ფოსტის მისამართი.

სოფიო სიჭინავა

საქართველოს მთავრობის კანცელარიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ელ.ფოსტა: ssichinava@geo.gov.ge

ტელ.: 2990900 (2101)

FAX.: 2990900



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია საჯარო ინფორმაციი გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ. მათ შორის ფოტოსურათი

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხაში არ არის დაკონკრეტებული რომელი სამართლებრივი აქტები უნდა იქნას საჯარო დაწესებულებების მიერ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. დაწესებულებების მხრიდან ხშირ შემთხვევაში არ ხდება ყველა იმ სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება, რომელიც, ინსტიტუტის შეფასებით, უკავშირდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

IDFI-ის პარამეტრებით საჯარო დაწესებულებებს ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა ჰქონდეთ შემდეგი სამართლებრივი აქტები:

- *2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N219 დადგენილება;*

- *შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანება კონკრეტულ უწყებაში ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამტკიცების შესახებ;*

- *შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;*

- *შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;*

- *საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ;*

- *შესაბამისი უფლებამოსილი პირის ბრძანება მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ;*

- *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავი;*

- *საქართველოს კონსტიტუცია (24-ე და 41-ე მუხლები).*

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებს შესაბამისი დადგენილების მიხედვით, ევალებათ მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებთან დაკავშირებით დაწესებულებაში შესული განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკის განთავსება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეინიშნება საჯარო დაწესებულებების მხრიდან აღნიშნული ინფორმაციის განთავსების დაბალი მაჩვენებელი.

ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით, საჯარო დაწესებულებებმა საკუთარ ვებ-გვერდზე გარდა ზოგადი სტატისტიკისა, უნდა უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით შემოსული წერილების რეესტრის განთავსება მოთხოვნის თარიღის, გამომგზავნის, ადრესატის, შინაარსის და განხილვის შედეგების მითითებით.

სტატისტიკა
30.04.14

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა**

| N | ორგანიზაციის დასახელება | შემოსული წერილის ნომერი და თარიღი | შემოსული წერილის შინაარსი | გაგზავნილი წერილის ნომერი და თარიღი | გაგზავნილი წერილის შინაარსი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI | OPD02/14-032 11.02.14 | პრემიების, დანამატების, საშტატო ნუსხა, ელ. ფოსტის მიმოწერა, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმოამდგენლობითი ხარჯები, როუმინგის ხარჯები, მივლინებები, გადაუდებელი, ავტომობილები, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, აუდიტორული შემოწმების აქტები და სხვა. | 23/11309 21.02.14 | პრემიების, დანამატების, საშტატო ნუსხა, ელ. ფოსტის მიმოწერა, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, წარმოამდგენლობითი ხარჯები, როუმინგის ხარჯები, მივლინებები, გადაუდებელი, ავტომობილები, ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და კომპიუტერული ტექნიკის სია, აუდიტორული შემოწმების აქტები და სხვა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ თანდართული სახით |
| 2 | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (საერთაშორისო გამჭირვალობა-საქართველო) | N 125-01 03/01/2014 | ინფორმაცია გაცემული პრემიების შესახებ, და იმ პირთა რაოდენობა, რომლებზეც გაიცა პრემია | 2009-23 10/01/2014 | სსიპ ფინანსთ სამინისტროს აკადემის მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაცემული პრემიების ოდენობისა და იმ პირთა ოდენობის შესახებ რომლებზეც გაიცა პრემია. |
| | | | | | |

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების რეესტრი

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40-ე მუხლების შესაბამისად**

**განცხადების ზოგადი სტატისტიკა 2014 წლის II კვარტალი**

| N | სამინისტროში შემოსული განცხადების თარიღი/ რეგისტრირებული წერილის N | გასული წერილის თარიღი/N |
|---|---|---|
| 1 | 01.04.14 N33613 | 10.04.14 N01/29745 |
| 2 | 02.04.14 N33918 | 16.04.14 N01/32090 |
| 3 | 02.04.14 N34058 | 04.04.14 N01/32872 |
| 4 | 03.04.14 N34416 | 07.04.14 N01/28518 |
| 5 | 04.04.14 N35239 | 11.04.14 N01/30362 |
| 6 | 07.04.14 N35717 | 10.04.14 N01/29744 |
| 7 | 07.04.14 N35799 | 10.04.14 N01/29835 |
| 8 | 07.04.14 N35840 | 08.04.14 N01/29030 |
| 9 | 07.04.14 N35883 | 22.04.14 N01/32849 |
| 10 | 07.04.14 N35977 | 10.04.14 N01/29663 |
| 11 | 08.04.14 N36264 | 24.04.14 N01/33843 |
| 12 | 10.04.14 N36894 | 28.04.14 N01/35078 |
| 13 | 10.04.14 N36964 | 11.04.14 N01/30363 |
| 14 | 10.04.14 N37074 | 11.04.14 N01/30822 |
| 15 | 11.04.14 N37456 | 23.04.14 N01/33116 |
| 16 | 11.04.14 N37628 | 22.04.14 N01/32848 |
| 17 | 11.04.14 N37639 | 17.04.14 N01/32007 |
| 18 | 11.04.14 N37647 | 29.04.14 N01/35621 |
| 19 | 14.04.14 N38043 | 14.04.14 N01/31402 |
| 20 | 14.04.14 N38118 | 17.04.14 N01/31400 |
| 21 | 14.04.14 N38302 | 30.04.14 N01/35712 |
| 22 | 14.04.14 N38305 | 17.04.14 N01/32399 |

შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულ რეესტრში წარმოდგენილია მხოლოდ შემოსული და გასული წერილის ნომრები.

# საკადრო უზრუნველყოფა

3.1 ვაკანსიები, კონკურსის შედეგები, გასაჩივრების წესი და პროცედურა

3.2 ნორმატიული აქტები კონკურსის ჩატარების წესების შესახებ

3.3დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით და გენდერულ ჭრილში

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მესამე ნაწილში თავმოყრილია პუნქტები, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფასთან. აღნიშნული პუნქტებიდან ყველაზე დაბალი განთავსების მაჩვენებელი 70,6 % მოდის გამოცხადებული ვაკანსიებისა და კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაციის განთავსებაზე. აღნიშნული პუნქტის მიხედვით დაწესებულება ვალდებულია ვებ-გვერდზე განათავსოს როგორც მიმდინარე ვაკანსიები, აგრეთვე უკვე განხორციელებულ კონკურსში გამარჯვებულ პირთა შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული პუნქტის მიმართებაში განთავსებული ინფორმაციის თვალსაზრისით გამორჩეულია **სსიპ - სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა**, რომელსაც კონკურსში გამარჯვებულ პირების სახელისა და გვარის გარდა ვებ-გვერდზე განთავსებული აქვს მათი ფოტოსურათები.

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდადატები**

| | ვაკანტური თანამდებობები | საშტატო ერთეულის რაოდენობა | სურათი | სახელი, გვარი |
|---|---|---|---|---|
| I | ადმინისტრაციული სამსახური | | | |
| 1 | უფროსი | 1 |  | ედიშერ კუკავა |
| 2 | მთავარი ბუღალტერი | 1 |  | მადონა ვეფხვიაშვილი |
| 3 | მთავარი სპეციალისტი (შესყიდვების საკითხებში) | 1 |  | შოთა ჯორჯიკია |
| 4 | მთავარი სპეციალისტი (საფინანსო საკითხებში) | 1 |  | თამარ ჭკადუა |
| 5 | მთავარი სპეციალისტი (ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების საკითხებში) | 1 |  | ნათია წიკლაური |
| 6 | მთავარი სპეციალისტი (სამეურნეო საკითხებში) | 1 |  | ლევან მამამთავრიშვილი |

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დასაქმებულ პირთა ოდენობის შესახებ ინფორმაცია, ვებ-გვერდზე განათავსოს, როგორც კატეგორიების მითითებით ასევე გენდერულ ჭრილში. ხშირია შემთხვევები, როდესაც დაწესებულებები გენდერულ ჭრილში ინფორმაციას ათავსებენ ჯამური სახით, დასაქმებულთა სრულ ოდენობაში ქალთა და მამაკაცთა რაოდენობის მიხედვით. ინსტიტუტის პარამეტრებით, ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს კონკრეტული კატეგორიის პოზიციებზე დასაქმებულ თანამშრომელთა გენდერული ბალანსი.

მაგალითისათვის იხილეთ **სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე** განთავსებული ინფორმაცია.



სააგენტოში დასაქმებულთა რაოდენობა გენდერულ ჭრილში

სააგენტოში დასაქმებულ პირთა რაოდენობა კატეგორიების მიხედვით გენდერულ ჭრილში (15.08.2014)

| № | თანამდებობა | მმ. | მდ. | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1 | სააგენტოს თავმჯდომარე | 1 | 0 | 1 |
| 2 | დეპარტამენტის დირექტორი, თავმჯდომარის მოადგილე | 3 | 3 | 6 |
| 3 | კომისიის თავმჯდომარე | 1 | 0 | 1 |
| 4 | სამსახურის უფროსი | 44 | 34 | 78 |
| 5 | სამსახურის უფროსის მოადგილე | 12 | 30 | 42 |
| 6 | განყოფილების უფროსი1 | 1 | | 1 |
| 7 | არქივის უფროსი | 0 | 2 | 2 |
| 8 | ბიუროს უფროსი | 1 | 0 | 1 |
| 9 | ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი | 1 | 0 | 1 |
| 10 | ელექტრონული მმართველობის პროექტების მენეჯერი | 0 | 1 | 1 |
| 11 | სერვისების განვითარების მენეჯერი | 1 | 0 | 1 |
| 12 | პროექტის მენეჯერი | 0 | 2 | 2 |
| 13 | სტრატეგიული პროექტების მართვის მენეჯერი | 0 | 1 | 1 |
| 14 | ცენტრის უფროსი | 2 | 1 | 3 |
| 15 | CA მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი | 1 | 0 | 1 |
| 16 | აზომვითი სამუშაოების კოორდინატორი | 4 | 0 | 4 |
| 17 | აზომვითი სამუშაოების მაკოორდინირებელი ჯგუფის ხელმძღვანელი | 1 | 0 | 1 |
| 18 | ანალიტიკოსი | 0 | 1 | 1 |
| 19 | აპლიკაციის ადმინისტრატორი | 1 | 0 | 1 |



# სახელმწიფო შესყიდვები და ქონების პრივატიზება

4.1 სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა
4.2 განხორციელებული შესყიდვები
4.3 სახელმწიფო ქონების გასხვისება
4.4 რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მეოთხე ნაწილში თავმოყრილია პუნქტები, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებსა და ქონების პრივატიზებასთან. დადგენილების მიხედვით, დაწესებულებებისათვის სავალდებულოა სახელმწიფო შესყიდვების გეგმისა და განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის დეტალური გამოქვეყნება (მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით).

როგორც კვლევამ აჩვენა, საჯარო დაწესებულებებისათვის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის, ასევე განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაციის განთავსება ნაკლებად პრობლემატურია. განსხვავებული მდგომარეობაა სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის განთავსების თვალსაზრისით. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ აღნიშნული პუნქტების მიმართებაში შესაბამისი დადგენილება დაწესებულებებს არ ავალდებულებს დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას, საჯარო დაწესებულებების მიერ ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა მხოლოდ - 39,7%, ხოლო რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელმა- 32,3%.

ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით, სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ უნდა განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია: ქონების მიმღები, გადაცემული ქონების ჩამონათვალი და მისი საბალანსო ღირებულება.

| მიმღების დასახელება | # | დასახელება | რ-ბა | ერთ. ღირებულება (ნარჩენი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი | 1 | მონიტორი LG 1734 | 1 | 220.32 | 220.32 |
| | 2 | სისტემური ბლოკი (L7047) | 2 | 433.3 | 866.6 |
| | 3 | A20"Monitor. 2002 | 1 | 200.00 | 200 |
| | | სულ | | | 1286.92 |
| დაბა ლენტეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი | 1 | მონიტორი LG 1734 | 1 | 220.32 | 220.32 |
| | 2 | სისტემური ბლოკი (L7047) | 2 | 348.8 | 697.6 |
| | 3 | A20"Monitor. 2002 | 1 | 200.00 | 200 |
| | 4 | პრინტერი 1005 | 1 | 67.79 | 67.79 |
| | | სულ | | | 1185.71 |
| ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის #1 საჯარო სკოლა | 1 | პრინტერი HP 1020 | 2 | 104.96 | 209.92 |
| | 2 | მიკროსკოპი MBC-10 | 1 | 420.20 | 420.20 |
| | | სულ | | | 630.12 |
| ქალაქ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი | 1 | მონიტორი LG LCD L 1734s | 3 | 220.32 | 660.96 |
| | 2 | სისტემური ბლოკი (L7047) | 3 | 403.7 | 1211.10 |
| | | სულ | | | 1872.06 |
| თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საჯარო სკოლა | 1 | პრინტერი 1005 | 1 | 67.79 | 67.79 |
| | 2 | მონიტორი Fujitsu-Siemens | 3 | 0.00 | 0.00 |
| | 3 | მონიტორი Fujitsu-Siemens | 3 | 0.00 | 0.00 |
| | 4 | სისტემური ბლოკი HP | 5 | 61.60 | 308.00 |
| | 5 | სისტემური ბლოკი ლუ | 1 | 66.00 | 66.00 |
| | 6 | პორტატული კომპიუტერი Acer | 1 | 113.44 | 113.44 |
| | | სულ | | | 555.23 |

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე განტავსებული დეტალურია ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისების შესახებ

**ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ**

| ქონების გადამცემი | ქონების მიმღები |
|---|---|
| სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| -6415 | 6,415.0 |

ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მიერ არ არის წარმოდგენილი ქონების დასახელება რომელიც იქნა გასხვისებული

ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით უნდა განთავსდეს შემდეგი ინფორმაცია: სად განთავსდა რეკლამა, რა სახის იყო რეკლამა და რამდენი იქნა დახარჯული.

ადმინისტრაციულ ორგანოებს, რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების შესახებ უმეტესწილად განთავსებული აქვთ ის მინიმალური ინფორმაცია, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილების მოთხოვნებს.

| N | ობიექტის დასახელება | სახელშეკრულებო ღირებულება | ხელშეკრულების ვადები | | | გადახდილია | შემსრულებელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | დაწყება | დამთავრება | CPV | სულ | |
| 1 | 2 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 1 | რეკლამის ხარჯი | 3,000.00 | 18.09.2013წ | 31.12.2013წ. | 79341000 | 2,000.00 | შ.პ.ს. ყოველდღიური გაზეთი „რეზონანსი" |
| 2 | რეკლამის ხარჯი | 1,900.00 | 22.07.2013წ. | 31.12.2013წ. | 92111220 | 1,900.00 | ფ/პ კონსტანტინე კუპრეიშვილი |
| 3 | რეკლამის ხარჯი | 2,000.00 | 22.07.2013წ. | 31.12.2013წ. | 79341000 | 2,000.00 | შ.პ.ს. დამოუკიდებელი ტელე-რადიო კომპანია „ოდიში" |
| 4 | რეკლამის ხარჯი | 1,911.60 | 22.07.2013წ. | 31.12.2013წ. | 79341000 | 1,911.60 | შ.პ.ს. სამაუწყებლო კომპანია ჰერეთი |
| 5 | რეკლამის ხარჯი | 3,825.00 | 22.07.2013წ. | 31.12.2013წ. | 79341000 | 3,825.00 | შ.პ.ს. იმერვიზია |
| 6 | რეკლამის ხარჯი | 1,058.00 | 22.07.2013წ. | 31.12.2013წ. | 79341000 | 218.00 | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ასოციაცია ათინათი |
| 7 | რეკლამის ხარჯი | 9,046.83 | 22.07.2013წ. | 31.12.2013წ. | 79341000 | 9,046.81 | შ.პ.ს. „სტუდია მაესტრო" |
| | **სულ ჯამი:** | | | | | **20,901.41** | |

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია სარეკლამო ხარჯების შესახებ.

2013 წელს რეკლამაზე გაწეული ხარჯი
04.02.2014

2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ რეკლამის განთავსებაზე გაწეულია ხარჯი 105,737.14 ლარის ოდენობით

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ 2013 წელს რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯების ჯამური ოდენობა.

## დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა

*5.1 დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტი*
*5.2 ბიუჯეტის შესრულება*
*5.3 სარგო, დანამატი, პრემია*
*5.4 სამივლინებო ხარჯები*
*5.5 ავტომობილები*
*5.6 საწვავის ხარჯი*
*5.7ტექნიკური მომსახურების ხარჯი*
*5.8 უძრავი ქონება*
*5.9 სატელეკომუნიკაციო ხარჯები*
*5.10 მიღებული გრანტები, კრედიტები*
*5.11.გაცემული გრანტები*
*5.12 /5.13 საბიუჯეტო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები*

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მეხუთე ნაწილში (დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა) 13 პუნქტად მოცემულია ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ადმინისტრაციული ორგანოს ფინანსებს. საჯარო დაწესებულებების მიერ აღნიშნული 13 პუნქტის მიმართებაში ინფორმაციის განთავსების თვალსაზრით საერთო მაჩვენებლები 28%-დან 77%-მდე მერყეობს. ყველაზე დაბალი განთავსების საერთო მაჩვენებელით გამორჩეულია ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ - 28,4%, ხოლო ყველაზე მაღალი განთავსების საერთო მაჩვენებელი (77,3%) მიიღო ინფორმაციამ დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტების შესახებ.

**დაწესებულებების მიერ ფინანსური ინფორმაციის განთავსების მაჩვენებლები**



- ბიუჯეტი

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის, ასევე მისი შესრულების შესახებ ინფორმაცია თავისთავად გულისხმობს აღნიშნული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას საბიუჯეტო ხარჯებისა და შემოსულობების კლასიფიკაციის მიხედვით. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა დაწესებულებების მიერ ვებ-გვერდზე განთავსებულია მხოლოდ დამტკიცებული, დაზუსტებული და ათვისებული მთლიანი თანხის ოდენობა.

**2014 წლის 6 თვე**

| ბიუჯეტი | |
|---|---|
| დამტკიცებული | დაზუსტებული |
| 459000 | 669000 |

| № | ინფორმაცია ბიუჯეტის შესრულების შესახებ |
|---|---|
| 1 | 622812 |

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის განთავსებული ინფორმაცია

| საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში |
|---|---|
| 23'076.19 | 44.29 % |

| წლიური დამტკიცებული მოცულობა | წლიური დაზუსტებული მოცულობა |
|---|---|
| 52'091.00 | 52'091.00 |

საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

- **შრომის ანაზღაურება**

ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით გაცემული სარგოების, დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს კვარტალურად თანამდებობის პირებზე ჯამურად და სხვა თანამშრომლებზე ჯამურად. აღნიშნული პუნქტის მიმართებაში ინსტიტუტის რეკომენდაციაა, რომ თანამდებობრივი სარგოების, სახელფასო დანამატების და პრემიების შესახებ ინფორმაცია ვებ–გვერდებზე წარმოდგენილი იქნას თანამდებობის პირებზე ცალ–ცალკე სახელისა და გვარის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლებზე ჯამური სახით.

კვლევამ აჩვენა, რომ თანამშრომლების შრომის ანაზღაურების შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოებს განთავსებული აქვთ ის მინიმალური ინფორმაცია, რომელიც აკმაყოფილებს შესაბამისი დადგენილების მოთხოვნებს. მათ შორის ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ინფორმაცია საერთოდ არ არის ჩაშლილი შრომის ანაზღაურების სახეების მიხედვით (სარგო, დანამატი, პრემია) და მთლიანად დაჯამებული სახითაა წარმოდგენილი.

**ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა დანარჩენ თანამშრომლებზე (ჯამურად)**
**2014 წლის I კვარტალში (ლარებში)**

| თანამდებობის პირები (მინისტრი, მინისტრის 1-ლი მოადგილე, მინისტრის მოადგილეები, მინისტრის მრჩეველი, დეპარტამენტის უფროსები, ბიუროს უფროსი, სამსახურის უფროსები, სამსახურის უფროსის მოადგილე, კონსულტანტები, სამმართველოს უფროსები) | სხვა დანარჩენი თანამშრომლები (გარდა თანამდებობის პირებისა) |
|---|---|
| **556356,00** | **467316,00** |

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ზოგიერთმა უწყებამ გაითვალისწინა ინსტიტუტის რეკომენდაცია და საკუთარ ვებ-გვერდზე წარმოადგინა დეტალური ინფორმაცია თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურების შესახებ.

**ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ - 2014 წლის 3 თვე**

| სახელი, გვარი | თანამდებობა | დარიცხული ხელფასი | დარიცხული პრემია | დანამატი |
|---|---|---|---|---|
| კახა კალაძე | მინისტრი | 10,620.00 | | 8,130.00 |
| მარიამ ვალიშვილი | მინისტრის მოადგილე | 8,160.00 | 16,500.00 | |
| ილია ელოშვილი | მინისტრის მოადგილე | 8,160.00 | 16,500.00 | |
| ირაკლი ხმალაძე | მინისტრის მოადგილე | 8,160.00 | 16,500.00 | |
| ნათია ჭელიძე | აპარატის უფროსი | 6,030.00 | 5,500.00 | |
| ირაკლი გაფრინდაშვილი | დეპარტამენტის უფროსი | 6,030.00 | 1,500.00 | |
| დავით დარისპანაშვილი | დეპარტამენტის უფროსი | 6,030.00 | 5,000.00 | |
| თენგიზ გენძეხაძე | სამმართველოს უფროსი (მთ. ბუღალტერი) | 4,620.00 | 2,750.00 | |
| ირაკლი ბენდელიანი | სამმართველოს უფროსი | 4,723.50 | 2,650.00 | |
| ზაზა ნანობაშვილი | დეპარტამენტის უფროსი | 6,030.00 | 5,000.00 | |
| გიორგი ყანაშვილი | დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | 5,310.00 | 3,100.00 | |
| მაკა ფარცვანია | სამმართველოს უფროსი | 4,641.36 | 2,500.00 | |
| ქეთევან მშვიდობაძე | სამმართველოს უფროსი | 4,620.00 | 2,600.00 | |
| დავით შარიქაძე | დეპარტამენტის უფროსი | 6,030.00 | 5,000.00 | |
| გიორგი შუკაკიძე | დეპარტამენტის უფროსის მოადგილე | 5,310.00 | 2,550.00 | |
| მარგალიტა არაბიძე | სამმართველოს უფროსი | 4,620.00 | 2,150.00 | |
| ვალერიან ხავთასი | დეპარტამენტის უფროსი | 4,020.00 | 2,000.00 | |
| გიორგი გეგჭკორი | დეპარტამენტის უფროსი | 6,030.00 | 5,480.00 | |
| ლიზა თავდუმაძე | დეპარტამენტის უფროსი | 6,030.00 | 4,750.00 | |
| **სხვა თანამშრომლები** | | 197,033.11 | 85,225.00 | |

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია

- **სამივლინებო ხარჯები**

ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია, თანამშრომლების შრომის ანაზღაურების მსგავსად, ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით, ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს თანამდებობის პირებზე ჯამურად და სხვა თანამშრომლებზე ჯამურად.

აღნიშნული პუნქტის მიმართებაში ინსტიტუტის რეკომენდაციაა, რომ სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია განთავსდეს თანამდებობის პირებზე ცალ-ცალკე ჩაშლილად(სასტუმრო, მგზავრობა, დღიური და სხვა ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით) მივლინების თარიღის, მივლინების მიზნისა და ქვეყნის მითითებით, ხოლო სხვა თანამშრომლების შემთხვევაში მხოლოდ გაწეული ხარჯები დაჯამებული სახით.

*სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია სამივლინებო ხარჯების შესახებ.*

დანართი 8

**დირექტორის მოადგილე ლევან კარანაძე**

| მივლინების თარიღი | მივლინების ქვეყანა | მივლინების მიზანი | სადღერამისო ხარჯი | სასტუმროს ხარჯი | ბილეთის ხარჯი | სხვა ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 24-28 თებერვალი 2014 | საფრანგეთი ქ.პარიზი | ICAO-ს პარიზის ბიუროს ოფისში გამართულ, ევროპის რეგიონალურ საავიაციო უსაფრთხოების ჯგუფის მე-3 შეხვედრაში (Regional Aviation Safety Group-ERASG/03) მონაწილეობა | 675.42 | 969.7 | 194.5 | 120.61 |
| 16-19 მარტი 2014 | ბელგია ქ. ბრიუსელი | №2111/2005 რეგულაციის ფარგლებში ოფიციალური კონსულტაციის გამართვისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით | 366.67 | 747.81 | 140 | |
| | | | **1042.09** | **1717.51** | **334.5** | **120.61** |

**დირექტორის მოადგილე თამარ არჩუაძე**

| მივლინების თარიღი | მივლინების ქვეყანა | მივლინების მიზანი | სადღერამისო ხარჯი | სასტუმროს ხარჯი | ბილეთის ხარჯი | სხვა ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 6-8 თებერვალი 2013 | უკრაინა ქ.კიევი | საავიაციო ხელისუფლებების შეხვედრაში მინაწილეობა | 183.65 | 271.38 | 651.2 | |
| 24-28 თებერვალი 2014 | საფრანგეთი ქ.პარიზი | ICAO-ს პარიზის ბიუროს ოფისში გამართულ, ევროპის რეგიონალურ საავიაციო უსაფრთხოების ჯგუფის მე-3 შეხვედრაში (Regional Aviation Safety Group-ERASG/03) მონაწილეობა | 675.42 | 969.7 | 194.5 | 124.71 |
| 16-19 მარტი 2014 | ბელგია ქ. ბრიუსელი | №2111/2005 რეგულაციის ფარგლებში ოფიციალური კონსულტაციის გამართვისა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით | 366.67 | 844.31 | 140 | 120.61 |
| | | | **1225.74** | **2085.39** | **985.7** | **245.32** |

### ➢ ავტოპარკი, საწვავის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი

ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია უნდა განთავსდეს მხოლოდ მოდელის მითითებით. რაც შეეხება საწვავის მოხმარებაზე და ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ვებ-გვერდზე განათავსოს წლის განმავლობაში გაწეული აღნიშნული ხარჯების შესახებ ჯამური ინფორმაცია.

ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით, ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე სასურველია განთავსდეს ავტომობილის მოდელის, ავტომობილის გამოშვების წლის, შესყიდვის თარიღის, შესყიდვის ფასის და ნარჩენი ღირებულების მითითებით. ასევე საჯარო მოხელის თანამდებობა, რომელსაც გადაცემული აქვს მფლობელობაში შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალება.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების სტრუქტურულ ერთეულებზე განაწილებისა და ყოველთვიური ხარჯის (საწვავის ლიმიტი და რეცხვის ბარათები) განსაზღვრის ნუსხა**

| № | თანამდებობა/სტრუქტურული ქვედანაყოფი | პასუხისმგებელი პირი | ავტომანქანა | გამოშვების წელი | სახ. ნომერი | საწვავის ყოველთვიური ხარჯი | | რეცხვის ბარათების ყოველთვიური ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საწვავის ტიპი | ყოველთვიური ლიმიტი (ლიტრი) | |
| 1 | მინისტრი | გია თათარაშვილი | Toyota Landcruiser LC 150 | 2011 | NXN-232 | ბენზინი | 700 | 16 |
| 2 | მინისტრის პირველი მოადგილე | თომა მაისურაძე | FORD escape | 2010 | KDK-448 | ბენზინი | 550 | 10 |
| 3 | მინისტრის მოადგილე (შ. ამირეჯიბი) | კობა ადუაშვილი | Mitsubishi pajero | 2009 | QBQ-221 | ბენზინი | 450 | 8 |
| 4 | მინისტრის მოადგილე (ვ. მჭედლიშვილი) | მიხეილ კვიწინაძე | Toyota Landcruiser prado | 2007 | GEL-848 | ბენზინი | 450 | 8 |
| 5 | მინისტრის მოადგილე (ვაკანსია) | ზვიად ჩადუნელი | Toyota Fortuner | 2008 | HJH-030 | ბენზინი | 450 | 8 |
| 6 | მინისტრის მთავარი მრჩეველი | იაკობ დარსაძე | KIA Sportage | 2012 | FFT-302 | ბენზინი | 400 | 4 |
| 7 | ადმინისტრაციული დეპარტამენტი | ბექა ბარბაქაძე | Toyota Landcruiser prado | 2007 | KAN-885 | ბენზინი | 350 | 4 |
| 8 | ადმინისტრაციული დეპარტამენტი | ალექსანდრე ყუმბულაშვილი | KIA Rio | 2011 | FCF-019 | ბენზინი | 200 | 4 |
| 9 | იურიდიული დეპარტამენტი | მაია ბითაძე | KIA Rio | 2011 | FCF-025 | ბენზინი | 200 | 4 |
| 10 | მინისტრის აპარატი | გია ბერუაშვილი | KIA Rio | 2013 | FFT-247 | ბენზინი | 250 | 4 |

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებულია მოდელის, გამოშვების წელის და იმ პირის მითითებით, რომელსაც ავტომობილი მფლობელობაში აქვს გადაცემული

ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საწვავის მოხმარებაზე და ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს თანამდებობის პირების და სხვა თანამშრომლების მიერ გაწეული ხარჯების მითითებით. ამასთან სასურველია თანამდებობის პირების მფლობელობაში გადაცემულ ავტომობილებზე აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს თითოეული თანამდებობის პირის მიხედვით.

**2014 წლის მეორე კვარტალში ავტომანქანებზე საწვავისა და ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯი**

| | ავტომობილის მარკა | სახელ. № | სახელი და გვარი | საწვავის მარკა | ხარჯი ლიტრი | მაქანების ტექნიკური მომსახურეობაზე გაწეული ხარჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტოიოტა პრადო | NXN-232 | მინისტრი ხათუნა გოგალაძე | პრემიუმი | 2527 | 430 |
| 2 | ფორდ ესქეიპი | KDK-448 | მინისტრის პირველი მოადგილე ნინო შარაშიძე | პრემიუმი | 1213 | 530 |
| 3 | მიცუბიში პაჯერო | QBQ-221 | მინისტრის მოადგილე შალვა ამირეჯიბი | პრემიუმი | 1534 | 971.68 |
| 4 | ტოიოტა პრადო | GEL-848 | მინისტრის მოადგილე ირაკლი ნოზაძე | პრემიუმი | 2316 | 2219.6 |
| 5 | ტოიოტა პრადო | KAN-885<br>ZZQ-077 | მინისტრის მოადგილე ზურაბ კოპაძე | პრემიუმი | 80<br>1060 | 5489.08 |

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია საწვავისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების შესახებ.

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

| № | 5.7 ინფორმაცია ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ჯამურად (2013 წლის მონაცემები) | |
|---|---|---|
| 1 | თანამდებობის პირებზე (ჯამურად) | 12012 |
| 2 | სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) | 2213 |
| | სულ ჯამი | **14225** |

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

ლარებში

| № | 5.6 ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად (2013 წლის მონაცემები) | |
|---|---|---|
| 1 | | |
| 2 | თანამდებობის პირებზე (ჯამურად) | 23441 |
| 3 | სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) | 3044 |
| | სულ ჯამი | **26485** |

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ განთავსებული ინფორმაცია თანამდებობის პირებზე და სხვა თანამშრომლებზე ცალ-ცალკე.

- **ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება**

ინფორმაციის პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის მიხედვით დაწესებულება ვალდებულია ვებ-გვერდზე განათავსოს მხოლოდ ბალანსზე რიცხული ქონების ჩამონათვალი. აღნიშნული პუნქტის მიმართებაში ინსტიტუტის რეკომენდაციაა, რომ უძრავი ქონების ჩამონათვალი ვებ-გვერდზე განთავსდეს საბალანსო და ნარჩენი ღირებულების მითითებით. მაგალითისათვის, შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ.

saqarTvelos ganaTlebisa da mecnierebis saministros uZravi qonebis Sesaxeb informacia 31.12.2013 wlis mdgomareobiT

| № | ექსპლუატაციაში შესვლის თარიღი (წელი) | დასახელება | რაოდენობა | ფასი | საბალანსო ღირებულება | ჯამური ცვეთა | ნარჩენი ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1939 | ერთსართ. აგურის შენობა | 1 | 8280.00 | 8280.00 | 2484.00 | 5796.00 |
| 2 | 1939 | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობა | 1 | 4202763.58 | 4202763.58 | 186282.28 | 4016481.30 |
| 3 | 1939 | განათლების სამინისტროს შენობა | 1 | 388489.90 | 388489.90 | 20250.21 | 368239.69 |
| 4 | 1940 | ავტოფარეხი | 2 | 1855.00 | 3710.00 | 3710.00 | |
| 5 | 1980 | აგურის შენობა სამსართულიანი | 1 | 64500.00 | 64500.00 | 13156.50 | 51343.50 |
| 6 | 1996 | ჯიხური | 1 | 1020.00 | 1020.00 | 1020.00 | |
| 7 | 1996 | საყარაულო ჯიხური | 1 | 2350.00 | 2350.00 | 2350.00 | |
| 8 | 1998 | საქვაბე | 1 | 11145.77 | 11145.77 | 2345.36 | 8800.41 |
| 9 | 2006 | გაზგაყვანილობა (შენობის განუყოფელი ნაწილია) | 1 | 1559.00 | 1559.00 | 249.44 | 1309.56 |
| 10 | 2006 | გაზგაყვანილობის მოწყობილობა (შენობის განუყოფელი ნაწილია) | 1 | 20250.00 | 20250.00 | 8100.00 | 12150.00 |
| 11 | 2010 | ღია ავტოფარეხი | 1 | 3332.50 | 3332.50 | 533.20 | 2799.30 |
| | | **ჯამი** | | | **4707400.75** | **240480.99** | **4466919.76** |

- **სატელეკომუნიკაციო ხარჯები**

საჯარო დაწესებულებებისათვის დადგენილი ვალდებულებების მიხედვით სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს ყოველწლიურად ჯამური სახით. ინსტიტუტის რეკომენდაციით აღნიშნული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე წარმოდგენილი უნდა იქნას თანამდებობის პირებზე და სხვა თანამშრომლებზე ცალ-ცალკე. ამასთან სასურველია დამატებით წარმოდგენილი იქნას თანამდებობის პირებზე დაწესებული სატელეკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების შესახებ ინფორმაცია.

**დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი**

ლარებში

| № | 5.9 ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად (2013 წლის მონაცემები) | |
|---|---|---|
| 1 | თანამდებობის პირებზე (ჯამურად) | 6157 |
| 2 | სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) | 8861 |
| | სულ ჯამი | **15018** |

სამედიცინო მედიაციის სამსახური

MEDICAL MEDIATION SERVICE

*031032308711313*

KA031032308711313

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 2516 233; ელ.ფოსტა: ombudsman@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 2516 233; E-mail: ombudsman@moh.gov.ge

**№ 10-192/ო** **22 / აგვისტო / 2013 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მობილურ კორპორაციულ ნომრებზე ყოველთვიური საუბრების ლიმიტების განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „სამედიცინო მედიაციის სამსახურის" შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 4 აპრილის №01-18/ნ ბრძანების მე-4 მუხლის „ე" და „კ" ქვეპუნქტებისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს სსიპ - „სამედიცინო მედიაციის სამსახურის" მობილურ კორპორაციულ ნომრებზე ყოველთვიური საუბრების ლიმიტები დანართი №1-ის შესაბამისად.

დანართი №1

მობილურ კორპორაციულ ნომრებზე ყოველთვიური საუბრების ლიმიტები

| № | სატელეფონო ნომრები | ლიმიტი (ლარი) |
|---|---|---|
| 2 | 577 555994 | 100 |
| 3 | 577 130200 | 30 |
| 4 | 577 130210 | 30 |
| 5 | 577 130202 | 30 |
| 6 | 599 874545 | 30 |
| 7 | 577 998030 | 50 |

- ## გრანტის მიღება/გრანტის გაცემა

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე სავალდებულოა განთავსდეს გრანტის მიმღების, მიზნობრიობის, გრანტის მოცულობის და გადარიცხული თანხის ოდენობის მითითებით, ხოლო უცხო სახელმწიფოთა მთავრობების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარებების (გრანტები, კრედიტები) შესახებ არ არის დაკონკრეტება რა სახის ინფორმაცია უნდა იქნას გამოქვეყნებული.

ინსტიტუტის პარამეტრების მიხედვით, როგორც გაცემული, ასევე მიღებული ფინანსური დახმარების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს მიზნობრიობის მითითებით. ამასთან მიღებული ფინანსური დახმარებების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას კრედიტებისა და გრანტების გამოყოფით ცალ-ცალკე.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.10 | უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია **(აღნიშნულ მონაცემში შესულია სამინისტროს მთლიანი სისტემის მონაცემები)** | ყოველწლიურად | კრედიტი | 133,864,647.09 |
| | | | გრანტი | 17,098,403.06 |

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მიღებული კრედიტებისა და გრანტების შესახებ ცალ-ცალკე.

**ინფორმაცია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის 2013 წელს გამოყოფილი გრანტის შესახებ**

| დონორი | გრანტის გამოყოფის მიზანი | თანხა | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | გრანტის მოცულობა სულ (ევრო) | ნაშთი 2013 წლის დასაწყისში (ლარი) | 2013 წელს მიღებული (ლარი) | 2013 წლის ფაქტიური ხარჯი (ლარი) |
| შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო | ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის ფოთის რეგიონალური ოფისის მხარდაჭერა | 45,300 | 6,978 | 17,590 | 9,576 |

ენერგეტიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფომრაცია მიღებული გრანტების შესახებ

*დანართი №14*

**ინფორმაცია 2013 წლის განმავლობაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის მიერ გაცემული გრანტების შესახებ 01.01.2014 მდგომარეობით**

ლარებში

| № | საგრანტო პროექტის დასახელება | გრანტის მიმღები | გრანტის მიზნობრიობა | გრანტის მოცულობა | გადარიცხული თანხის ოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | "სოციალური უნარების განვითარების კურსი" | ა(ა)იპ ფსიქოლოგ-კონსულტანტთა ასოციაცია | ყოფილი მსჯავრდებულების სოციალურ-პრაქტიკული უნარების განვითარება და აგრესიული-ანტისოციალური მიდრეკილებების შემცირება | 30,000.0 | 7,025.0 |
| 2 | "ფსიქოლოგიური ტრავმის მქონე ყოფილი მსჯავრდებულების რეაბილიტაცია" | ა(ა)იპ წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი | გამოხატული პოსტტრავმული სიმპტომატიკისა და სხვა მძიმე ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ყოფილი მსჯავრდებულების ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია | 20,000.0 | 4,600.0 |
| | სულ ჯამურად | | | 50,000.0 | 11,625.0 |

იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია გაცემული გრანტების შესახებ

იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციულ ორგანოს გრანტი არ გაუცია ან არანაირი სახის ფინანსური დახმარება არ მიუღია, ვებ-გვერდზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც აღნიშნულის შესახებ ამცნობს ვებ-გვერდის ვიზიტორს.

საფინანსო ანალიტიკური სამსახური

სამსახურის მიერ გაცემული გრანტების შესახებ ინფორმაცია

← ინფორმაცია სამსახურის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

| ფაილის დასახელება | განთავსების თარიღი |
|---|---|
| სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს 2013 წლის განმავლობაში გრანტები არ გაუცია. | |

საფინანსო ანალიტიკური სამსახურის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია გაცემული გრანტების შესახებ

- **საბიუჯეტო ფონდებიდან გამოყოფილი თანხები**

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მეხუთე ნაწილის (დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა) 5.12 და 5.13 პუნქტები ითვალისწინებს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოებისათვის გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაციის და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ვებ-გვერდზე განთავსებას.

მიუხედავ იმ ფაქტისა, რომ საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების მიხედვით, საბიუჯეტო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს კვარტალურად, ხოლო შესაბამისი სამართლებრივი აქტები ძალაში შესვლიდან 10 დღის ვადაში, კვლევამ აჩვენა, რომ დაწესებულებების უმრავლესობას, რომელსაც წარმოდგენილი აქვს აღნიშნული ინფორმაცია, მონაცემები მოცემულია მხოლოდ 2013 წლის მდგომარეობით.

იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციულ ორგანოსათვის საანგარიშო პერიოდში თანხები არ გამოყოფილა, ვებ-გვერდზე უნდა გაკეთდეს შესაბამისი ჩანაწერი, რომელიც ამცნობს აღნიშნულის შესახებ მომხმარებელს.



← ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ

| ფაილის დასახელება | განთავსების თარიღი |
|---|---|
| საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან სააგენტოსთვის 2013 წელს თანხები არ გამოყოფილა. | |

**ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე, რომელიც ამცნობს მომხმარებელს რომ 2013 წელს საბიუჯეტო ფონდებიდან თანხები არ არის გამოყოფილი. 2014 წლის I და II კვარტლების შესახებ ინფორმაცია არ არის განთავსებული.**

## სამართლებრივი აქტები

*6.1. ნორმატიული აქტები*
*6.2 ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები*

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მეექვსე ნაწილი (სამართლებრივი აქტები) ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული და მათი შეფასებით საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების ვებ-გვერდზე განთავსებას. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მათი საქმიანობის შესახებ ნორმატიული აქტების განთავსების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა 92,9%, ხოლო ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების - 69,7%.

როგორც კვლევამ აჩვენა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ვებ-გვერდზე წარმოდგენილია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების ძალზედ მწირი ოდენობა. ამასთან სასურველია ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტები გადანაწილდეს თემატურად აქტების სახეების მიხედვით, რაც გაუადვილებს დაინტერესებულ პირს მისთვის სასურველი დოკუმენტების მოძიებას.




**შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტები დახარისხებულია თემატურად**

საქართველოს პარლამენტის აპარატისათვის დადგენილი საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესის მიხედვით, დაკონკრეტებულია ის სამართლებრივი აქტები რომლის ვებ-გვერდზე განთავსებაც სავალდებულოა აღნიშნული უწყებისათვის.

ზ.ა) საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კონსტიტუციური შეთანხმება, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;

ზ.ბ) საქართველოს პარლამენტის ნორმატიული დადგენილება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება მთავრობის ნდობის, საკადრო, თავდაცვის ან სამხედრო საკითხზე, საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის შექმნის, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების (გაგრძელების), საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხმების) რატიფიკაციის, დენონსაციის ან გაუქმების შესახებ;

ზ.გ) საქართველოს პარლამენტის რეზოლუცია, დეკლარაცია, მიმართვა, განცხადება.

შენიშვნა: ამ მუხლის „ზ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია განახლდება საკანონმდებლო აქტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო „ზ.ბ“ და „ზ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია – სამართლებრივი აქტის მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

## სხვა საჯარო ინფორმაცია

*1.1 სერვისები*

*7.2 მოსაკრებლები, ტარიფები, საფასურები*

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მეშვიდე ნაწილი (სხვა საჯარო ინფორმაცია) ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემოთავაზებული სერვისების, აგრეთვე იმ მოსაკრებლების, ტარიფების და საფასურების შესახებ ინფორმაციას, რომელთა გადახდევინება ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. საჯარო დაწესებულებების მიერ აღნიშნული ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელმა შეადგინა 64,9%.

მომხმარებლებისათვის რაიმე სახის სერვისების შეთავაზებას და შესაბამისი მოსაკრებლებისა და ტარიფების დადგენას ძირითად შემთხვევაში ახორციელებენ სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირები და საქვეუწყებო დაწესებულებები. რაც შეეხება იმ უწყებებს, რომლებიც მომხმარებელს არ სთავაზობენ არანაირი სახის სერვისებს ინსტიტუტის პარამეტრებით ვებ-გვერდზე უნდა გააკეთონ შესაბამისი ჩანაწერი ან/და უკეთეს შემთხვევაში ვებ-გვერდზე

განათავსონ დაწესებულების ქვემდებარეობაში არსებული სსიპ–ებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ბმულები.

ამასთან ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ შესაბამის განყოფილებაში შესაძლებელია განთავსდეს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლების შესახებ ცნობები.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაწესებულებების გარკვეულმა ნაწილმა გაითვალისწინა IDFI–ის რეკომენდაციები აღნიშნული პუნქტების შესახებ ინფორმაციის განთავსების მიმართებაში.




ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია




იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული მის დაქვემდებარებაში მყოფი უწყებების მიერ შეთავაზებული სერვისების შესახებ ინფორმაცია

## დაწესებულების ინიციატივით განთავსებული დამატებითი ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით, პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია. ინსტიტუტის შეფასებით ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს ყველა ის ფინანსური თუ სხვა საჯარო დოკუმენტი, რომელზეც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. საჯარო უწყების მიერ საზოგადოებრივი ინტერესის განსაზღვრის ინდიკატორად შესაძლებელია მიჩნეული იქნას წლის განმავლობაში დაწესებულებიდან ყველა ხშირად გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლის საჯარო დაწესებულებას, რომელმაც ვებ-გვერდზე განათავსა მათ მიერ გაწეული იმგვარი ხარჯების შესახებ ინფორმაცია, რომელიც პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხით არ არის გათვალისწინებული, წარმოადგენს **სამოქალაქო ავიაციის სააგენტო**. აღნიშნული უწყების ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განყოფილებაში ვხვდებით მათ მიერ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ ინფორმაციას. ამასთან, ვებ-გვერდზე დამატებით განთავსებულია სააგენტოში განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების აქტები.

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ინსტიტუტი წლის განმავლობაში, ყველა საჯარო დაწესებულებიდან, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის სააგენტოდან, აქტიურად ითხოვდა როგორც წარმომადგენლობითი ხარჯების, აგრეთვე აუდიტორული შემოწმებების შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ სააგენტოს მიერ აღნიშნული ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება დაკავშირებულია აღნიშნულ მონაცემებზე არსებულ საზოგადოებრივ ინტერესთან.

6. 2014 წლის მე-2 კვარტალში გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები: (კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალის, თითოეულზე დახარჯული თანხის, ღონისძიების ჩატარების დროის, ადგილისა და მოწვეულ სტუმართა და თქვენი დაწესებულებიდან წარმოდგენილ დამსწრე პირთა ოდენობის მიხედვით)

| № | ღონისძიების დასახელება | თანხა | ჩატარების დრო | ადგილი | მოწვეულ სტუმართა რაოდენობა | დაწესებულებიდან წარმოედგენილ პირთა რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | მოწვეული ექსპერტების სადილით უზრუნველყოფა | 195 | 5/21/2014 | შპს "სავაჭრო სახლი - კახელები", ქ. თბილისი, საქნავთობის 2 | 3 | 2 |
| 4 | რესტორნის მომსახურეობა | 762.3 | 20-21 მაისი 2014 | რესტორანი "მრავალჟამიერი", ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო | 11 | 3 |
| 7 | მოწვეული ექსპერტების სადილით უზრუნველყოფა | 2438.85 | | შპს "მადლიანი 2007", ქ. თბილისი, კახეთის გზატ., ლილოს ლუდის ქარხნის მიმ. | იხილეთ დანართი 1 | |

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული დეტალური ინფორმაცია წარმომადგენლობითი ხარჯების შესახებ

ACCG

შპს „აუდიტორული კომპანია კონსალტინგ-ჯორჯია"

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა

სსიპ „სამოქალაქო ავიაციის სააგენტო"

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული აუდიტორული შემოწმების აქტები

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები

### ინფორმაციის თემატური განთავსება

საქართველოს მთავრობის დადგენილებაში არსებული ჩანაწერის მიხედვით, დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გვერდზე ვალდებულია განათავსოს მხოლოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მე–2 ნაწილში თავმოყრილი პუნქტები, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან. რაც შეეხება სხვა სახის ინფორმაციას, დადგენილება დაწესებულებას საშუალებას აძლევს საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ვებ–გვერდზე, რაც მომხმარებელს ურთულებს კონკრეტული საკითხისადმი ინფორმაციის მოძიებას.

როგორც კვლევამ აჩვენა, 98 საჯარო დაწესებულებიდან 74-ის შემთხვევაში, მონიტორინგის პერიოდისათვის განთავსებული ინფორმაცია, სრულად წარმოდგენილი იყო საჯარო ინფორმაციის გვერდზე.



საჯარო ინფორმაციის გვერდი

### პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა

## 1. ზოგადი ინფორმაცია სამინისტროს შესახებ

| | ინფორმაციის დასახელება | განახლების ვადები |
|---|---|---|
| 1.1 | სამინისტროს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 1.2 | სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 1.3 | სამინისტროს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში | ქვეყნდება ყოველწლიურად |
| 1.4 | სამინისტროს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 1.5 | სამინისტროს ხელმძღვანელის, მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 1.6 | სამინისტროს საკონტაქტო ინფორმაცია | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |

## 2. საჯარო ინფორმაციის გვერდი

| | ინფორმაციის დასახელება | განახლების ვადები |
|---|---|---|
| 2.1 | საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 2.2 | საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 2.3 | ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ | განახლებადია ცვლილების შემთხვევაში |
| 2.4 | სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში | ქვეყნდება ყოველწლიურად |
| 2.5 | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა | ქვეყნდება კვარტალურად |

## 3. ინფორმაცია სამინისტროს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

*ფინანსთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გვერდზე განთავსებული ინფორმაცია დადგენილებით განსაზღვრული პუნქტების მიხედვით.*

## ინფორმაციის განთავსების დათარიღება

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, დაწესებულება ვალდებულია პროაქტიულად გამოქვეყნებულ ინფორმაციას მიუთითოს ვებ–გვერდზე მისი განთავსების თარიღი. წინამდებარე კვლევის ფარგლებში ინსტიტუტი შეეცადა გამოერკვია, რამდენად ხდება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული აღნიშნული ვალდებულების შესრულება. როგორც ირკვევა, შესწავლილი დაწესებულებების მხოლოდ 40% - ის (35 ადმინისტრაციული ორგანო) შემთხვევაში იქნა მითითებული საკუთარ ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსების თარიღები.






## ფინანსური ინფორმაციის განთავსების ფორმატი

წინამდებარე კვლევის ფარგლებში, ინსტიტუტის მიერ შესწავლილი იქნა აგრეთვე რა ფორმატში ხდება საჯარო დაწესებულებების მიერ ფინანსური ინფორმაციის ვებ–გვერდებზე განთავსება. ხსენებული დაწესებულებების 63%–ის შემთხვევაში ფინანსური დოკუმენტაცია წარმოდგენილია მხოლოდ PDF ფორმატში, 27%–ის შემთხვევაში EXCEL–ის ფორმატში, ხოლო 10% იყენებს როგორც PDF ასევე EXCEL–ის ფორმატს. EXCEL-ის ფორმატში ფინანსური მონაცემების განთავსება მომხმარებელს უმარტივებს კონკრეტული მონაცემების დამუშავებას.







*სსიპ „112“ - ის ვებ-გვერდზე ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილი PDF ფორმატში*



ფინანსები და ხარჯთაღრიცხვა

- ადმინისტრაციული ორგანოს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები...
- ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)...

გამოქვეყნებულია 31.07.2014...

- ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)...

გამოქვეყნებულია 31.07.2014...

- ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)...

გამოქვეყნებულია 31.07.2014...

- ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით...

გამოქვეყნებულია 20.01.2014...

- ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად...

გამოქვეყნებულია 20.01.2014...

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად...

გამოქვეყნებულია 20.01.2014...

- ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი...

გამოქვეყნებულია 20.01.2014...

- ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად...

გამოქვეყნებულია 20.01.2014...

*საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია EXCEL-ის ფორმატში*

## ინფორმაციის ვიზუალიზაცია

ვებ–გვერდზე განთავსებული მონაცემების მეტი თვალსაჩინოებისათვის სასურველია აგრეთვე გამოყენებული იქნას ვიზუალიზაციის გარკვეული საშუალებები (მონაცემთა გრაფიკული, დიაგრამული და სხვა გამოსახვა). ინსტიტუტის მიერ შესწავლილი 98 საჯარო დაწესებულებიდან, მხოლოდ 19 მათგანის შემთხვევაში ვხვდებით საჯარო ინფორმაციის განთავსებისას ვიზუალიზაციის გარკვეულ საშუალებების გამოყენების შემთხვევებს.







იუსტიციის სახლის ვებ-გვერდზე დასაქმებულ თანამშრომელთა შესახებ გენდერული ინფორმაციის ვიზუალიზაცია










*იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ფინანსური ინფორმაციის გრაფიკული გამოსახვა.*

# საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა

## საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის საშუალებები

საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილების მიხედვით, 2013 წლის 1 სექტემბრიდან დადგინდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის წესი. ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ელექტრონული განცხადებების რეგისტრაცია და ავტომატური დადასტურების სისტემის შექმნა.

საჯარო დაწესებულებებთან. დღეის მდგომარეობით, ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თვალსაზრისით წარმოადგენს სამოქალაქო პორტალი MY.GOV.GE დაწესებულების ვებ–გვერდზე შექმნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული საშუალება და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ან/და დაწესებულების ელექტრონული ფოსტა.

my.gov.ge

მოქალაქის პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს ონლაინ რესურსს, რომელშიც თავმოყრილია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ელექტრონული რესურსები. პორტალით სარგებლობისათვის არსებობს ორი გზა:

1) **ელექტრონული ID ბარათი და ბარათის წამკითხველი მოწყობილობა**
2) **ვიზიტი იუსტიციის სახლში სარეგისტრაციო სახელისა და უნიკალური კოდის მისაღებად**

პორტალზე განთავსებულ სხვადასხვა სერვისებს შორის წარმოდგენილია საჯარო ორგანიზაციებთან ელ. კომუნიკაციის განყოფილება, საიდანაც მოქალაქეს შეუძლია მისთვის სასურველ საჯარო დაწესებულებას, რომელიც გაერთიანებულია ელექტრონულ პორტალზე, მიმართოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.




IDFI-ის რეკომენდაციით პორტალზე არსებული მიმართვის ფორმას დაემატა ველი გამგზავნი ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას აძლევს არამარტო მოქალაქეებს არამედ ორგანიზაციებსაც ისარგებლონ აღნიშნული სერვისით.



აღნიშნული სერვისით დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გაგზავნის შემდგომ, მომხმარებელს საკუთარ პორტალზე მისდის დასტური დაწესებულებაში მოთხოვნის შესვლის შესახებ, წერილის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი.


თქვენს მიერ გაგზავნილი წერილის სანახავად დააჭირეთ ზმულს - ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲐ

| ᲣᲬᲧᲔᲑᲐ | ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ | ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ | ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘ |
|---|---|---|---|
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 1698/11 | 27.01.2014 16:13:44 | მიწოდებული |




**ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის სერვისები**

მთავრობის დადგენილების ძალაში შესვლის შემდგომ საჯარო დაწესებულებების ნაწილმა საკუთარ ვებ–გვერდზე შექმნა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის სერვისები. აღნიშნულ საშუალებებს გააჩნია სპეციალური ველები, სადაც ხდება მომხმარებლის რეკვიზიტებისა და სასურველი მოთხოვნის შევსება. სხვადასხვა დაწესებულებები ინფორმაციის დაცულობის თვალსაზრისით მომხმარებელს სავალდებულო ველების შევსების სახით განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს.

ელექტრონული საშუალებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მოქალაქემ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე დაწესებულებიდან უნდა მიიღოს დასტური დაწესებულებაში მოთხოვნის შესვლის შესახებ და წერილის რეგისტრაციის ნომერი. რეგისტრაციიდან მეორე დღეს დაიწყება ვადის ათვლა.






## ელექტრონული ფოსტა

საჯარო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის საშუალებას შესაძლებელია წარმოადგენდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ან/და უშუალოდ დაწესებულების ელექტრონული ფოსტა. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მოქალაქის მიერ უნდა გადაიგზავნოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილის სკანირებული ვერსია შესაბამის მისამართზე.

ელექტრონული საშუალებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მსგავსად ელექტრონულ ფოსტაზე  მოთხოვნის შემთხვევაშიც მოქალაქემ დაწესებულებიდან

უნდა მიიღოს დასტური დაწესებულებაში მოთხოვნის შესვლის შესახებ და წერილის რეგისტრაციის ნომერი. რეგისტრაციიდან მეორე დღეს დაიწყება ვადების ათვლა.

## საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკა

საქართველოს დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. წინამდებარე კვლევის ფარგლებში IDFI შეეცადა გამოერკვა შესწავლილი საჯარო დაწესებულებები საკუთარ ვებ–გვერდებზე რომელი კონკრეტული საშუალების გამოყენებას სთავაზობს მოქალაქეებს მათი დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოსათხოვნად. როგორც ირკვევა, ხსენებული დაწესებულებებიდან **21%** მოქალაქეებს სთავაზობს მხოლოდ MY.GOV.GE – ის მომსახურებას, **30%** -მხოლოდ ვებ–გვერდზე შექმნილ სპეციალურ ელექტრონულ საშუალებას, **11%**- მხოლოდ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონულ ფოსტას, **4%** – მომხმარებელს სთავაზობს არჩევანს ზემოთ ჩამოთვლილი ორი ან სამივე საშუალებიდან, ხოლო **34 %** შემთხვევაში საერთოდ არ არსებობს მათ ვებ–გვერდზე მითითება, რომ რომელიმე კონკრეტული ელექტრონული ფოსტის მისამართი არის საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის საშუალება.




ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების ვებ–გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული სერვისები განსხვავებული ხასიათისაა. მაგალითად, **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს** მიერ შექმნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ელექტრონული სერვისით შესაძლებელია, ინფორმაციის მოთხოვნა, როგორც მოქალაქის ასევე ორგანიზაციის სახელით. ამასთან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მომხმარებელს საშუალებას აძლევს აირჩიოს ინფორმაციის მიღების მისთვის სასურველი ფორმა – ელექტრონული, მატერიალური თუ მონაცემების ადგილზე გაცნობა.


საჯარო ინფორმაცია (მუშაობს სატესტო რეჟიმში)

ქართულად

პიროვნების სახელი, გვარი ან ორგანიზაციის დასახელება *

პირადი ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი *

საკონტაქტო ტელეფონი *

ელ.ფოსტა *

საჯარო ინფორმაციის მიღების თქვენთვის სასურველი ფორმა *

ელექტრონული სახით

განცხადების ტექსტი *

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში** აღნიშნული ელექტრონული სერვისით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მომხმარებელს მითითებულ ელექტრონულ ფოსტის მისამართზე ავტომატურად ეგზავნება დასტური, რომ მისი წერილი დარეგისტრირდა წერილის გაგზავნის თარიღით.

| | |
|---|---|
| პიროვნების სახელი, გვარი ან ორგანიზაციის დასახელება | დავით მაისურაძე |
| პირადი ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო ნომერი | [redacted] |
| საკონტაქტო ტელეფონი | [redacted] |
| ელ.ფოსტა | info@idfi.ge |
| საჯარო ინფორმაციის მიღების თქვენთვის სასურველი ფორმა | ელექტრონული სახით |
| განცხადების ტექსტი | გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების საფუძველზე მოგვაწოდოთ საქართველოს მთავრობის 2014წლის 17 ივნისის #400 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020"-ის ინგლისურენოვანი რედაქცია. აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით. გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი. პატივისცემით, |

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

E2023

თარიღი: 29.10.14

ტელ.: 299 11 05

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სერვისს სასურველია აგრეთვე გააჩნდეს ფუნქცია, რომელიც მომხმარებელს საშუალებას მისცემს მის მიერ გაგზავნილი მოთხოვნის სტატუსის შემოწმებას. აღნიშნული სახის მომსახურების დანერგვა მიმდინარეობს **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე**.




როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენს მერ შესწავლილი დაწესებულებების 4% მომხმარებელს სთავაზობს არჩევანს საჯარო ინფორმაცია ელექტრონულად მოითხოვოს მისთვის სასურველი გზით. ასე, მაგალითად, **დაცვის პოლიციის** ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით მოთხოვნას მოქალაქეებს შეუძლიათ, როგორც my.gov.ge - ის გამოყენებით, ასევე ელექტრონული სერვისის და მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული წერილის მეშვეობით.



კვლევის მიხედვით, დაწესებულებების 34%-ის შემთხვევაში ვებ-გვერდზე საერთოდ არ აქვს მითითება თუ რა გზით არის შესაძლებელი მათი უწყებიდან ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული უწყებების ვებ-გვერდზე ვერ ხერხდება ინფორმაციის მოთხოვნის შესაბამი ელექტრონული სერვისების დანერგვა, ვებ-გვერდზე უნდა გაკეთდეს მითითება თუ რომელი ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეუძლია მომხმარებელს, რომ დაწესებულებას მიმართოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით ელექტრონულად. ამასთან, ვებ-გვერდზე სასურველია განთავსდეს ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის განცხადების ფორმა.






საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დანართი 3

საქართველოს პარლამენტის აპარატს

მოქ. ----------------------------------------
საქართველოს მოქალაქის
პირადი ნომერი ----------------------------------------
მცხ. ----------------------------------------
ტელ./მობ.: --- -- -- --

ან

იურიდიული პირის დასახელება ----------------------------------------
იურიდიული მისამართი ----------------------------------------
ტელ./მობ.: --- -- -- --

განცხადება

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, გადმომცეთ ინფორმაცია ---------------------------------------- (მოთხოვნილი ინფორმაციის ზუსტი დასახელება) ჩემ მიერ წარმოდგენილ მეხსიერების ბარათზე/კომპაქტურ დისკზე ჩაწერის გზით.

----------------------------------------
(განმცხადებელი)

/---/, /---/, /-------/
(რიცხვი, თვე, წელი)

ან

იურიდიული პირის ხელმძღვანელი ----------------------------------------
(სახელი, გვარი, თანამდებობა)

/---/, /---/, /-------/
(რიცხვი, თვე, წელი)

საქართველოს პარლამენტის აპარატიდან ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის ფორმა

## დასკვნა

საქართველოს მთავრობის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით საქართველოში დამკვიდრდა სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სრულიად ახალი, პროაქტიული გამჭვირვალობის სტანდარტი, რომელიც ამავე დროს აღჭურვავს საზოგადოებას ხელისუფლების კონტროლის დამატებითი მექანიზმებით.

წინამდებარე კვლევამ, რომელიც 133 საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდების ანალიზის საფუძველზე შეიქმნა, ნათლად აჩვენა, რომ შეინიშნება პროაქტიულად საჯარო ინფორმაციის განთავსების განსხვავებული პრაქტიკა. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 98 უწყების (რომლებსაც განთავსებული აქვთ საკუთარ ვებ-გვერდზე გარკვეული ინფორმაცია) სავალდებულოდ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განთავსების მაჩვენებელი მერყეობს 15%-დან 100%-მდე. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინსტიტუტის მრავალმხრივი მოწოდებების მიუხედავად, დაწესებულებები უმეტესწილად ვებ-გვერდებზე ათავსებენ მხოლოდ იმ მინიმალურ კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც აკმაყოფილებს მთავრობის დადგენილების მოთხოვნებს.

IDFI მიესალმება იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ადმინისტრაციულმა ორგანომ **(მათ შორის აღსანიშნავია განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო)** საჯარო ინფორმაციის განთავსებისას, გაითვალისწინეს ინსტიტუტის რეკომენდაციები და საზოგადოებას წარმოუდგინეს დეტალური ინფორმაცია კონკრეტული პუნქტების მიმართებაში.

IDFI-ი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული ორგანოების ფინანსური გამჭვირვალობისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი სხვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. საქართველოს მთავრობის დადგენილებებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი სავალდებულო ინფორმაციის გარდა, ინსტიტუტის აზრით, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, ვებ-გვერდზე უნდა განთავსდეს ყველა ის ფინანსური თუ სხვა საჯარო დოკუმენტი, რომელზეც საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. კვლევის მიხედვით, **სამოქალაქო ავიაციის სააგენტო** წარმოადგენს ერთადერთ იშვიათ გამონაკლისს, რომელმაც საჯარო ინფორმაციის გვერდზე

დამატებით განათავსა იმგვარი ფინანსური ინფორმაცია, რომელიც არ იყო განსაზღვრული საქართველოს მთავრობის #219 დადგენილებით.

რაც შეეხება უწყებებს, რომლებსაც მონიტორინგის პერიოდისათვის არ ჰქონდათ შექმნილი საჯარო ინფორმაციის გვერდი ან აღნიშნულ გვერდზე არ ჰქონდათ წარმოდგენილი არანაირი სახის ინფორმაცია, IDFI მოუწოდებს უახლოეს მომავალში უზრუნველყონ საქართველოს მთავრობის დადგენილებით მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას არ გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, შესაძლებელია, მათ შესახებ საჯარო ინფორმაცია განთავსდეს მათი ზემდგომი უწყების ელექტრონულ რესურსზე. აღნიშნული პრაქტიკა უკვე არსებობს ოთხი უწყების შემთხვევაში. მაგალითად, სსიპ „სმართ ლოჯიქს" არ გააჩნია საკუთარი ვებ-გვერდი, თუმცა მის შესახებ საჯარო ინფორმაცია განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს ელექტრონულ რესურსზე.

კვლევის მიხედვით საჯარო დაწესებულებებს შორის განსხვავებული პრაქტიკა შეინიშნება აგრეთვე საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი დაწესებულებების 34%-ის შემთხვევაში, ვებ-გვერდზე საერთოდ ვერ-ვხდებით ჩანაწერს თუ რა გზით ან დაწესებულების რომელი ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეუძლია მომხმარებელს აღნიშნული უწყებიდან ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა.

IDFI გამოთქვამს იმედს, რომ დაწესებულებების მხრიდან გათვალისწინებული იქნება ინსტიტუტის მიერ კვლევაში წარმოდგენილი რეკომენდაციები, რომელიც უკავშირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის მთელ რიგ პუნქტებს და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის პრაქტიკის დანერგვას.

| საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაჩვენებლები 2014 (სექტემბერი-ოქტომბერი) | | |
|---|---|---|
| 1 | განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 100% |
| 2 | ენერგეტიკის სამინისტრო | 100% |
| 3 | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია | 100% |
| 4 | საფინანსო-ანალიტიკური სამსახური | 99% |
| 5 | იუსტიციის სამინისტრო | 98% |
| 6 | ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო | 97% |
| 7 | საქართველოს უზენაესი სასამართლო | 96% |
| 8 | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 96% |
| 9 | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 94% |
| 10 | გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი | 94% |
| 11 | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 93% |
| 12 | სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | 93% |
| 13 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 92% |
| 14 | აღსრულების ეროვნული ბიურო | 91% |
| 15 | საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო | 91% |
| 16 | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | 90% |
| 17 | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი | 90% |
| 18 | ფინანსთა სამინისტროს აკადემია | 90% |
| 19 | დანაშაულის პრევენციის ცენტრი | 89% |
| 20 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | 87% |
| 21 | სმართ ლოჯიქი | 87% |
| 22 | საკანონმდებლო მაცნე | 87% |
| 23 | ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | 86% |
| 24 | ფინანსთა სამინისტრო | 86% |
| 25 | განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა | 85% |
| 26 | დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 85% |
| 27 | საქართველოს პარლამენტი | 84% |
| 28 | მონაცემთა გაცვლის სააგენტო | 84% |
| 29 | დაცული ტერიტორიების სააგენტო | 83% |
| 30 | დაცვის პოლიცია | 83% |
| 31 | შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი | 82% |

| | | |
|---|---|---|
| 32 | შემოსავლების სამსახური | 82% |
| 33 | შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი | 81% |
| 34 | შსს აკადემია | 81% |
| 35 | საავტომობილო გზების დეპარტამენტი | 81% |
| 36 | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი | 80% |
| 37 | დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | 80% |
| 38 | ნოტარიუსთა პალატა | 80% |
| 39 | არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო | 80% |
| 40 | აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 80% |
| 41 | საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | 78% |
| 42 | ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი | 78% |
| 43 | ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი | 78% |
| 44 | აჭარის ა/რ -ის საარქივო სამმართველო | 78% |
| 45 | საქართველოს ეროვნული არქივი | 77% |
| 46 | ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი | 76% |
| 47 | აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 76% |
| 48 | ეროვნული მუზეუმი | 75% |
| 49 | სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი | 75% |
| 50 | აჭარის ა/რ-ის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო | 75% |
| 51 | საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური | 74% |
| 52 | სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო | 74% |
| 53 | აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 74% |
| 54 | სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 73% |
| 55 | საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 72% |
| 56 | საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე | 72% |
| 57 | შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 72% |
| 58 | თავდაცვის სამინისტრო | 70% |
| 59 | იუსტიციის სახლი | 70% |
| 60 | სოციალური მომსახურების სააგენტო | 68% |
| 61 | სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო | 67% |
| 62 | ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი | 67% |
| 63 | აჭარის ა/რ - ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 67% |
| 64 | ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 65% |

| | | |
|---|---|---|
| 65 | სურსათის ეროვნული სააგენტო | 63% |
| 66 | კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | 63% |
| 67 | ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი | 62% |
| 68 | ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო | 61% |
| 69 | საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო | 60% |
| 70 | გარემოს ეროვნული სააგენტო | 60% |
| 71 | აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი | 58% |
| 72 | საგარეო საქმეთა სამინისტრო | 58% |
| 73 | საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური | 57% |
| 74 | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 57% |
| 75 | სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია | 55% |
| 76 | აჭარის ა/რ-ის ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი | 55% |
| 77 | სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | 54% |
| 78 | სსიპ - 112 | 48% |
| 79 | აჭარის ა/რ მთავრობის აპარატი | 48% |
| 80 | სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო | 47% |
| 81 | სატყეო საბაზისო სანერგე მეურნეობა | 46% |
| 82 | აჭარის ა/რ-ის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი | 45% |
| 83 | ქართული სპორტის მუზეუმი | 43% |
| 84 | იუსტიციის სასწავლო ცენტრი | 42% |
| 85 | აჭარის ა/რ-ის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი | 42% |
| 86 | სამედიცინო მედიაციის სამსახური | 36% |
| 87 | ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი | 35% |
| 88 | სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 34% |
| 89 | საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო | 33% |
| 90 | ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო | 33% |
| 91 | აჭარის ა/რ-ის დასაქმების სააგენტო | 33% |
| 92 | სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი | 31% |
| 93 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 26% |
| 94 | აჭარის ა/რ-ის სამშენებლო და ტექნიკური ლაბორატორია | 25% |
| 95 | საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური | 21% |
| 96 | შსს მომსახურების სააგენტო | 21% |
| 97 | შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური | 16% |
| 98 | სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი | 15% |